# ვერსია

გაზეთი ზივრის, „ვერსიის" ერთი

№111 (867) 25 - 27 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

## რატომ არ არეგულირებს კანონი, ვის უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო მანქანა და როგორ უნდა განახლდეს სახელმწიფო ავტოპარკი



2 წელში სახელმწიფო უწყებებმა, დაახლოებით, 90 მილიონი ლარის ავტომობილი იყიდეს

## ვინ აჩუქა ბურჯანაძეების ოჯახს 15 მილიონი და რის ფასად დათმეს მათ გარეჯის მიმდებარე ტერიტორია



გვ. 2

**ლევან ბერძენიშვილი**



გვ. 6

„თუ ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე ვერ გავა, „სამძიმრის ტელეგრამას“ გავუგზავნი“

## „ფრთხილად, საქართველოში „ოლიგარქატის ეპოქა“ იწყება!“



რა პროგნოზს აკეთებს **ნესტან კირთაძე** წინასაარჩევნოდ და რა შემთხვევაში იქცევის ისტორიკოსი, რომ ქართული საზოგადოება უარესის ღირსია

გვ. 8

## „არჩევნების მეორე ტურს კატეგორიულად გამოვრიცხავ!“

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე** საპრეზიდენტო კანდიდატების შანსსა და წინასაარჩევნო გარემოს აანალიზებს



გვ. 4

## „პოლიცია დეპოლიტიზირებულია, რეფორმები — გატარებული, კრიმინალმა იკლო...“



შინაგან საქმეთა მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** წლიური ანგარიში წარადგინა

გვ. 5

## როგორ იქცნენ ნაციონალები „ფორმიან კანონიერ ქურდებად“

გვ. 10

## ლიბერთი ბანკმა და ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თანამედროვე ელექტრონული დარბაზი გახსნეს

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

გვ. 7

## როგორ აპირებენ ექსპერტები და ჯანდაცვის სამინისტრო ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმის დანგრევას

გვ. 9

## „რომპეტროლი“ საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს მიესალმება

გვ. 7

ROMPETROL energy for life

# ვინ აჩუქა ბურჯანაძეების ოჯახს 15 მილიონი და რის ფასად დათმეს მათ გარეჯის მიმდებარე ტერიტორია



ლევან ღვინიაშვილი

**ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნო დაპირებებს უხვად არიგებს, მაგრამ წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მას სიუხვე სამომავლოდ უფრო ადარდებს, ვიდრე კონკრეტულ მომენტში. ქალბატონმა ნინომ ყველაზე კარგად იცის, რას ნიშნავს განუსაზღვრელი ძალაუფლება და სწორედ იქითკენ მიილტვის, საიდანაც, არცთუ დიდი ხნის წინ, მისმა ყოფილმა გუნდის წევრებმა „დააცურეს“. დაცემა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ კაბინეტისმოყვარული ქალბატონი ქუჩაში გავიდა და, ხალხთან ერთად, „ბელა ჩაოც“ იმღერა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. პრინციპში, როგორ არ გამოვიდა, აქციებს რამდენიმე ადამიანი შეეწირა და ეს მაშინ, როცა თავქუდმოგლეჯილი ბურჯანაძე რუსთაველიდან მანქანით გარბოდა, ბადრი ბიწაძე კი ავსტრიაში... ეს იყო ადრე და რა იქნება მომავალში, ერთად ვნახავთ, მანამდე კი, ბურჯანაძეების წარსულს კიდევ ერთხელ გადავხედოთ.**

დიდების ზენიტს ბურჯანაძემ მაშინ მიაღწია, როცა ზურაბ ჟვანია გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. „უპატრონოდ“ დარჩენილი ჟვანიას გუნდის წევრები თავშესაფარს ეძებდნენ და ზოგმა ბურჯანაძესთან დაიდო ბინა, ზოგი — სააკაშვილის ფრთებქვეშ შეიყუჟა. ტრიუმვირატის ძალთა ბალანსი ბურჯანაძე-სააკაშვილი-ჟვანია ფორმალურად მაინც არ უნდა დარღვეულიყო და ამიტომ ჟვანიას გუნდის კვოტა — პრემიერის პოსტი ზურაბ ნოღაიდელს შესთავაზეს, რომელიც მანამდე ფინანსთა მინისტრი იყო და, რაღა თქმა უნდა, კარიერულ ნახტომზე უარს არ იტყოდა, თუმცა ნოღაიდელის გაპრემიერებას წინ ელობებოდა, როგორც ბურჯანაძე-ნოღაიდელის მოსკოველი პარტნიორები იტყვიან, ერთი „ნო“ — ქალბატონი ნინო. პოლიტიკურ კულუარებში ყველამ იცოდა, რომ ფინანსთა მინისტრ ნოღაიდელსა და პარლამენტის სპიკერს შორის დაძაბულ ურთიერთობას ხშირად პრემიერი ჟვანია არეგულირებდა... მისი ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ კი ეს მისია შესანიშნავად შეასრულა იმან, რაც ჯოჯოხეთსაც კი ანათებს! კულუარული ინფორმაციით, ბურჯანაძეებმა 15 მილიონი მოითხოვეს. კიდევ უფრო დაზუსტებული ინფორმაციით, ანზორ ბურჯანაძეს თურქული მხარიდან აღებული 15-მილიონიანი კრედიტი ჩამოაწერეს და ის სახელმწიფომ დაფარა. აქვე განვმარტავთ, რომ ამ საკითხზე ვრცელი ინტერვიუ ზურაბ ნოღაიდელთან, დოკუმენტური მასალით ექსკლუზიურად სწორედ „ვერსიამ“ გამოაქვეყნა. მან კრედიტის ჩამოწერის ფაქტი დაადასტურა, თუმცა უარყო, რომ ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, სანაცვლოდ, ნინო ბურჯანაძის მხარდაჭერა მოეპოვებინა. არადა, როგორც ჟვანიას გუნდის ყოფილი წევრები ამბობენ, ნოღაიდელმა ბურჯანაძეს მალევე გადაუხადა სამაგიერო და რემი ბიწაძეს ბრაზილიური ქათმების ბიზნესი ფუკასავით აავალა.

სხვათა შორის, 2007 წელს სწორედ ნინო ბურჯანაძე იყო ის მაღალჩინოსანი, რომლის მისაღებიდან დაცვის წევრებმა ირინა ენუქიძე, სანდრო გირგვლიანის დედა დაუპატიჟებელი სტუმარივით გააგდეს. მაშინ ასევე, „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნდა ლალი როზომაშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ ირინა ენუქიძესთან, რომელიც ამ ვითარებას დაწვრილებით აღწერს და პარლამენტის ქალბატონ თავმჯდომარეს საყვედურობს. იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, ბურჯანაძემ ბათუმში, სასტუმრო „მედეადან“ გამოყრილ დევნილებს მოღალატეები უწოდა, აქაოდა, სხვა ქვეყანაში რატომ მიდიხართ, აქ დარჩით, ოღონდ ქუჩაშიო. მერე როგორც კულუარებში ამბობდნენ, იმ სასტუმროზე თვალი ბადრი ბიწაძის ბიძაშვილს, გიორგი ბიწაძეს ჰქონდა დადგმული და იქ კორპუსის აშენებას აპირებდა. კიდევ ერთი ფაქტი და 2007 წელზე საუბარს ამით დავასრულებთ. სოციალურად დაუცველი ადამიანების პროგრამის პრეზენტაციაზე ბურჯანაძემ ახალი „ტროიკა“ გაამარიაჟა და „კარტიეს“ 100-ათასიანი სამკაულით გამოცხადდა, რამაც იქ მყოფი საზოგადოების გარდა, უცხოელი სტუმრებიც გააოგნა, მაგრამ როცა არის შესაძლებლობა, რა გინდა რომ ქნა?!

საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სწორედ მაშინ, როცა მისი მხარდამჭერები „ბელა ჩაოს“ მღეროდნენ, ბურჯანაძემ გადაწყვიტა, რომ სააკაშვილი უკვე გადააგდო და იმ 12-მილიონიანი აგარაკის კეთილმოწყობას მიჰყო ხელი, რომელიც ჯერ ერთ ლარად აჩუქეს, მერე კი წაართვეს. ამ მიზნით, ანზორ ბურჯანაძემ კიპაროსის 27 ნერგი ჩამოატანინა უცხოეთიდან და სპეციალური მანქანების გამოყენებით, ეს ნერგები აგარაკზე დარგეს. შეგახსენებთ, რომ ამ დროს გაგანია აქციები იყო.

თითქოს არაფერი, მაგრამ ბადრი ბიწაძე არ მალავს, რომ პირადად იცნობს კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს და მასთან მეგობრობს კიდეც. ეს არც არის გასაკვირი და ვისაც უკვირს, ვეტყვით, რომ კალაშოვისა და ბიწაძის ინტერესები დიდუბეში არსებულ კომპლექს „მეგალაინზე“ გადაიკვეთა. ეს ცენტრი კვიპროსის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ კომპანიას ეკუთვნის და, როგორც ამბობენ, ამ კომპანიის მესაკუთრეები კალაშოვი და ბიწაძე თანაბრად არიან. იმასაც ამბობენ, რომ მათი შეხვედრები კი, ძირითადად, უკრაინაში იმართებოდა, სადაც კალაშოვი სასტუმროსა და რესტორანს ფლობს.

დასასრულ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილებაში არსებული მიწების მიტაცება რომ დაიწყო, იქ მყოფმა ბერებმა ხმა აღიმაღლეს, ქართულ მიწას აზერბაიჯანელები გვართმევენო. მაშინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე გახლდათ. მან მომხდარი ოპერატიულად გააპროტესტა, საზღვარზე მესაზღვრეების რიცხვი გაზარდა და... სამ დღეში იქაურობა საერთოდ დაცალა, საზღვარი კი აზერბაიჯანელი მესაზღვრეების იმედად მიატოვა. სწორედ მაშინ შეექმნა აზერბაიჯანში არსებულ ბურჯანაძეების სადისტრიბუციო კომპანიას პრობლემები და ბიწაძის ნაბიჯიც, ამბობენ, რომ ამით იყო განპირობებული.

წინასაარჩევნოდ ძნელია ამ ფაქტებზე საუბარი, მაგრამ რეალურად ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ და რისთვის ითხოვს მხარდაჭერას... „ბელა ჩაოს“ დრო დადგა, ნინო!



## ავსტრიამ დავით ჩაგინავას საქართველოში ექსტრადიციის მოთხოვნა დააკმაყოფილა

საქართველოს მთავარ პროკურატურას ავსტრიის რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ ოფიციალურად აცნობა, რომ დავით ჩაგინავას ეტაპირება უახლოეს პერიოდში იგეგმება. ჩაგინავას 2013 წლის 29 ივლისს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ). საქართველოს სსკ 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (წამება, ჩადენილი მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ).

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ მეგის ქარდავამ შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისადმი დაქვემდებარებული შს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დანაშაულების ჩადენა. დავით ჩაგინავა წარმოადგენდა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს. მეგის ქარდავას უშუალო დავალებით, ჯგუფის წევრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყის მასივებში კონკრეტულ პირთა წამების, დაშინების და სხვა უკანონო ქმედებების ჩასადენად მოწყობილი ქონდათ ე.წ. მიწურები და ხის სადგომები“,** — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ დავით ჩაგინავა, 2011 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს, აღნიშნული ადგილების გამოყენებით, თანამზრახველებთან ერთად, მეგის ქარდავას დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდა ორი პიროვნების გატაცებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ცემაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და გაუპატიურებაში. შსს-ს ინფორმაციით, ზემოხსენებულ ქმედებებს ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ, რათა უდანაშაულო პირებისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩაგინავას აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება შეეფარდა. 2013 წლის 10 სექტემბერს ჩაგინავას მიმართ გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით. 30 სექტემბერს იგი ავსტრიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დააკავეს. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური იუსტიციის სამინისტროს ჩაგინავას ექსტრადიციის მოთხოვნით 16 ოქტომბერს მიმართა.

*„პირველი“*

ვერსიანიუსი

# „ამ მთავრობას წინ წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი ელის“



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის საგამოფენო ცენტრში რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ახალი კონსტიტუციით, საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა მთავრობის საქმიანობაში ჩაერევა: **„ტემპი და წინსვლა ჩვენი მთავარი ხელწერაა. უკანდახევა და შეჩერება კი მათი წარსულის სახელმწიფოს გადმონაშთია. მე ვთქვი, ჩვენ ყველანი იმ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, რომ ბევრი წარსულის გადმონაშთი დაბრუნდება, მაგრამ საქართველოს უკან ვერავინ დახევს. გუნდი შეიცვლება, პიროვნებები გამოიცვლებიან, საქართველოს სათავეში სხვადასხვა დროს მოვა სხვადასხვა ხალხი, მაგრამ მთავარი პრინციპები, რაც ჩვენ დავნერგეთ, არასდროს შეიცვლება. „ვარდების რევოლუციის“ დროს, დასავლური ღირებულებების მხოლოდ ერთმუჭა რევოლუციონერების ჯგუფს სჯეროდა, ხშირ შემთხვევაში სოფლიდან ჩამოსულ, დამშეულ, მაგრამ თვალებანთებულ იდეალისტებს. დღეს ეს ქართული საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ქართულმა საზოგადოებამ უკვე ნახა, რას ნიშნავს არაკორუმპირებული სახელმწიფო ინსტიტუტები, უმაღლეს სასწავლებლებში ქრთამის არაღება, ამას უკან ვერავინ შეაბრუნებს, ამიტომ ამ ბრძოლაში, რომ უკან არ დაგვაბრუნონ, სადაც არ უნდა ვიყო მე, თქვენ გვერდით ვარ. საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანია, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ახალი კონსტიტუციური სისტემა შემოდის და მთავრობას კიდევ ვერ გაუცნობიერებია, რამდენად დაცული იყო ის ბოლო წელიწადს. საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო, მე მათ მთელი უფლებამოსილება გადავეცი და პარლამენტი მათ საქმიანობაში ვერ ეროდა. როგორც კი ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება პარლამენტი მთავრობის საქმიანობაში ჩაერევა. ამ მთავრობას წინ წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი ელის, კონსტიტუციური ფარგლებია ასეთი და ნებისმიერ სხვა მთავრობას, რომელიც დარწმუნებული ვარ, ამათ მალე შეცვლის. ჩვენ არ ვამთავრებთ ბრძოლას, იწყება ამ ბრძოლის ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი. მთავარი მოქმედი პირი, განსხვავებით „ვარდების რევოლუციისგან“, იქნება საქართველოს ახალგაზრდობა“.**

*„პირველი“*

# რატომ არ არეგულირებს კანონი ვის უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო მანქანა და როგორ უნდა განახლდეს სახელმწიფო ავტოპარკი




## 2 წელში სახელმწიფო უწყებებმა, დაახლოებით, 90 მილიონი ლარის ღირებულების ავტომობილი იყიდეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს წესი, რომელიც განსაზღვრავს, რა რაოდენობის ავტომობილი უნდა შეიძინოს ამა თუ იმ უწყებამ, როგორ უნდა განახლდეს სახელმწიფო ავტოფარეხი ან, კონკრეტულად, რომელ ჩინოვნიკს უნდა ემსახურებოდეს ავტომობილი. ესაა მიზეზი, რის გამოც ქართველი ჩინოვნიკები ძვირადღირებული „ჯიპებით“ დადიან და, როგორც წესი, ამ ავტომობილებს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით იძენენ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გამოიკვლია, რა რაოდენობის ავტომობილები შეიძინეს ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებებმა. კვლევაში ინდივიდუალურადაა განხილული პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, მთავრობის კანცელარიისა და საქართველოში არსებული ყველა სამინისტროს მიერ 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით შესყიდული, ასევე უსასყიდლოდ და ჩუქების ფორმით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევები. კვლევის მიხედვით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მონიტორინგის სუბიექტებმა 2 146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდეს, რომელთა ღირებულებამ ჯამში, 61 439 788 ლარი, 16 545 081 აშშ დოლარი და 110 000 ევრო შეადგინა.**

### რამდენი ავტომობილი შეიძინეს უწყებებმა?

საქართველოს პარლამენტის აპარატს, 2011 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალება არ შეუძენია. 2012 წლის 20 დეკემბერს, პარლამენტმა დელეგაციების მიღების უზრუნველსაყოფად, „ფოლკსვაგენ პასატის“ მარკის 3 ავტომობილი შეისყიდა, რომელთა ჯამური ღირებულება 141 660 ლარია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე, 1 258 821 ლარის ღირებულების 23 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა. საქართველოს მთავრობის კანცელარიამ 1 172 182 ლარის ღირებულების 19 ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის 6 ავტომობილი 2011 წელს, ხოლო 13 2012 წელს იყიდა; მთავრობის კანცელარიამ კი ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი 2012 წლის 3 სექტემბერს შეიძინა და „ტოიოტა ლექსუსი LX570“ მარკის მანქანაში 169 014 ლარი გადაიხადა. მთავრობის კანცელარიამ ჩუქების სახით, 2 883 400 ლარის ღირებულების 54 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო. მათ შორის, 1 — 2011 წელს, 41 — 2012 წელს, ხოლო 12 ავტომობილი — 2013 წელს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1 411 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა, რომელთა საერთო ღირებულება 32 888 365 ლარი, 16 545 081 აშშ დოლარი და 110 000 ევროა. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი სამინისტრომ 2012 წლის 9 ივლისს იყიდა და ესაა 110 000 ევროს ღირებულების Mercedes-BenZ 500 L.MATIC Blue EFFICIE. შსს-ს ჩუქების სახით 87 ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაეცა, რომელთა ღირებულება 2 865 860 ლარი და 627 854 აშშ დოლარია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, შესყიდვისა და ჩუქების სახით, 1 417 047 ლარის ღირებულების 22 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო. აქედან 1 176 973 ლარის ღირებულების 16 ავტოსატრანსპორტო საშუალება სამინისტრომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 3 114 259 ლარის ღირებულების, 75 ავტოსატრანსპორტო საშუალება იყიდა, მათ შორის, 70 ავტომობილი — უსასყიდლოდ გადასცეს, ხოლო 5 ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. ჩუქების სახით, სამინისტრომ 2 111 152 ლარის ღირებულების, 112 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 612 697 ლარის ღირებულების 9 ავტომანქანა შეისყიდა, ხოლო 229 391 ლარის ღირებულების 9 ავტომობილი უსასყიდლოდ მიიღო.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 119 290 ლარის ღირებულების 4 ავტომობილი შეისყიდა, ხოლო 190 895 ლარის ღირებულების 4 ავტომობილი სარგებლობაში გადაეცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 388 629 ლარის ღირებულების 17 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 3 740 900 ლარის ღირებულების 79 ავტოსატრანსპორტო საშუალება იყიდა, ხოლო 233 846 ლარის ღირებულების 16 ავტოსატრანსპორტო საშუალება შესყიდვის გარეშე მიიღო.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ 369 650 ლარის ღირებულების, 9 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ჩანაცვლების წესით, 546 254 ლარის ღირებულების 9 ავტოსატრანსპორტო საშუალება იყიდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კი — 709 380 ლარის ღირებულების 15 ავტომობილი. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, შეძენისა და ჩუქების სახით, 726 862 ლარის ღირებულების 30 ავტოსატრანსპორტო საშუალება მიიღო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 202 722 ლარის ღირებულების 4 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა, მათ შორის 3 — „ჰიუნდაი სონატასა“ და 1 — „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ მარკის ავტომობილია. იუსტიციის სამინისტრომ 43 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა და ჯამში, 1 286 620 ლარი გადაიხადა, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრომ 78 500 ლარის ღირებულების, 2 ავტომობილი შეისყიდა. თავდაცვის სამინისტრომ 7 ავტოსატრანსპორტო საშუალება უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობით მიიღო შპს „იბერია ტექ ავტომოტივისა“ და „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“. 2 ავტომობილი კი ჩუქების ხელშეკრულებით, სამინისტროს ფიზიკურმა პირებმა — ლევან გვენეტაძემ და არჩილ გუნთაიშვილმა გადასცეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შპს „კია მოტორს ჯორჯიასგან“, 28 000 ლარის ღირებულების ავტომობილი — KIA CERATO შეიძინა, ხოლო 56 ავტომობილი უსასყიდლოდ მიიღო.

### შვედეთის გენერალურ აუდიტორს ავტომობილი არ ჰყავს?!

საია-ს კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომლითაც შესაბამის უწყებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი, გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა, ავტოპარკის განახლების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება. სამწუხაროდ, საია-ს კვლევით კიდევ ტენდენცია გამოვლინდა, რაც ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ და ჩუქების სახით გადაცემაში გამოიხატება. რაც მთავარია, სახელმწიფო უწყებებმა, ძვირადღირებული ავტომობილები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით შეიძინეს. რეალურად, ეს კანონი ზოგადი სახის სამართლებრივი აქტია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ პრინციპის პრაქტიკაში რეალიზებას, რაც მნიშვნელოვანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას.

როგორ უნდა განისაზღვროს წესი, რომლითაც სახელმწიფო უწყებები ავტომობილებს შეიძენენ, ან ავტოპარკს განაახლებენ? რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ რიგითმა ჩინოვნიკებმა ძვირადღირებული „ჯიპების“ ნაცვლად, შედარებით დაბალფასიანი, მსუბუქი ავტომობილებით ისარგებლონ? კონკრეტულად, რომელ თანამდებობის პირს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო მანქანა ან უნდა ემსახურებოდეს თუ არა, საერთოდ? „ვერსიას“ ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი** ესაუბრება.

— ბოლო დრომდე არსებობდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც განისაზღვრა კრიტერიუმი, რამდენი მანქანა ეკუთვნის ამა თუ იმ საჯარო უწყებას. საბოლოოდ, რიცხოვნობა განაწილების წესს არ ნიშნავს, მაგრამ ახალი საბიუჯეტო მოწყობის პირობებში, ეს ყველაფერი მოგვარებადია. სწორედ პროგრამული ბიუჯეტის პრინციპის გათვალისწინებით შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა, როდესაც კონკრეტული ხარჯი, კონკრეტულ დოკუმენტში აისახება.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



### თავდაცვით ნაგებობებზე დახარჯული თანხის მიზნობრიობას პარლამენტი შეისწავლის

საქართველოს პარლამენტი წინა ხელისუფლების მიერ თავდაცვითი სასერტიფიკაციო ნაგებობებისა და თხრილების მშენებლობაზე დახარჯული თანხების მიზნობრიობას შეისწავლის. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განმარტებით, პარლამენტი ამ საკითხზე „ნდობის ჯგუფის“ ფარგლებში იმუშავებს: **„მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსები — რა დაუჯდა სახელმწიფოს თხრილების გაკეთება. მქონდა საუბარი შესაბამის უწყებებთან და ეს საკითხი ცალკე შესწავლას ითხოვს. პირველივე შესაძლებლობის ფარგლებში გამოვითხოვ დოკუმენტებს და გავაანალიზებთ, რამდენად რაციონალურად მოხდა თანხების გახარჯვა“.**

დეპუტატის შეფასებით, იმ სახელმწიფომ, რომელსაც შეზღუდული რესურსები და მაღალი საფრთხეები აქვს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის უზრუნველსაყოფად სწორად გამოიყენოს არსებული ფინანსური რესურსები: **„ამიტომ, როცა საუბარია თბილისის გამაგრებაზე, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ საქართველო მხოლოდ თბილისი არაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლა — მისი მიზნობრიობის, ეფექტურობისა და თანხის ხარჯვის რაციონალობის დადგენა. ყველაფერს აქვს ფასი და თუ ჩვენ ასობით მილიონი დავხარჯეთ ისეთ საკითხებზე, რომლის ეფექტურობა ძალიან დაბალია, ეს დამატებით კითხვებს აჩენს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



### სააპელაციო სასამართლომ გიორგი ვაშაძის ბინას ყადაღა მოხსნა

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ვაშაძის განმარტებით, მის სახლს ყადაღა მოეხსნა — დაყადაღების გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანა: **„აბსოლუტურად არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღეს ბინის დაყადაღებასთან დაკავშირებით და საერთოდ, თავად ეს სარჩელია არაადეკვატური. სწორედ ამიტომ მოეხსნა ყადაღა ჩემს ბინას და ამჟამად, დაყადაღებულ ბინაში აღარ ვცხოვრობ“.**

რაც შეეხება თავად სარჩელს, რომელიც მის წინააღმდეგ ჯოზეფ კეიმ შეიტანა, დეპუტატი აცხადებს, რომ განხილვა საქალაქო სასამართლოში ჯერ არ ჩანიშნულა: **„განხილვა იქნება და დარწმუნებული ვარ, ამ სასამართლო პროცესს აუცილებლად მოვიგებთ“.**

გიორგი ვაშაძემ ერთ-ერთ გამოსვლაში ჯოზეფ კეის თაღლითი უწოდა, რის გამოც კეიმ მის წინააღმდეგ სარჩელი ცილისწამების ბრალდებით შეიტანა. დეპუტატს ბინა სწორედ აღნიშნული სარჩელის გამო დაუყადაღეს, თუმცა მოგვიანებით, ბიზნესმენის ადვოკატმა განმარტა, რომ ეს არა ყადაღა, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იყო.

*„პირველი“*

# მანანა კობახიძე: „არჩევნების მეორე ტურს კატეგორიულად გამოვრიცხავ!“



კახა მაისურაძე

**ორიოდ დღეში საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. წინასწარი პროგნოზი ასეთია — ნებისმიერი სახის კვლევასა და სხვა სახის გამოკითხვებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი კონკურენტებს გვარიანად უსწრებს. ამ ფონზე, საქართველოს პრემიერი და მასთან ერთად, მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ გიორგი მარგველაშვილი არჩევნების პირველივე ტურში მოიგებს და მეორე ტური, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ექსპერტების ნაწილიც აცხადებს, რომ „მეორე ტურის“ თემა, მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციის საშუალებაა მარგველაშვილის კონკურენტებისთვის. საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებსა და სხვა საარჩევნო საკითხების შესახებ, „ვერსიას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ესაუბრება.**

**— ქალბატონო მანანა, წინასაარჩევნო პერიოდი, ფაქტობრივად, დასრულდა. რამდენად ეფექტური იყო თქვენი კოალიციის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია და თუ აქვს მას გამარჯვების შანსი?**

— გიორგი მარგველაშვილს ჰქონდა ეფექტური და რეალისტური წინასაარჩევნო კამპანია. ხალხს ისეთს არაფერს შეპირებია, რასაც მომავალში ვერ შეასრულებს. იცის, რა ფუნქცია და უფლება-მოვალეობები ექნება მომავალ პრეზიდენტს და ზოგი კანდიდატისგან განსხვავებით, წინასაარჩევნო დაპირებების გაცემისას, ამ კომპეტენციის ფარგლებიდან არ გამოსულა. რაც შეეხება შანსს, დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილი ამ არჩევნებში გაიმარჯვებს. მას არ ჰყავს კონკურენტები, რომლებიც ვითარებას იმდენად გაართულებენ, რომ პირველ ტურში მარგველაშვილის გამარჯვება სათუო გახდეს.

**— ანუ მეორე ტურის გამართვის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავთ?**

— ცხადია, ამ ვარიანტს არც განვიხილავთ, რადგან მეორე ტური არ იქნება. ვიცნობ საზოგადოების განწყობას, ვიცი უამრავი კვლევის შედეგები და ყველაფერი ადასტურებს, რომ მარგველაშვილი პირველ ტურში მოიგებს არჩევნებს. ხალხს ჩვენი კანდიდატი ამ მახინჯი პროცესის — კოჰაბიტაციის დასრულებას შეპირდა. მიზეზთა გამო, ეს იძულებითი პროცესი მთელი წელი გაიჭიმა და ახლა ბევრი გულწრფელად სვამს კითხვას — მარგველაშვილის არჩევის შემთხვევაში, კოჰაბიტაცია მართლა დასრულდება? დიახ, დასრულდება! ჩვენი გუნდი, მარგველაშვილთან ერთად, დაასრულებს ამ მომაბეზრებელ კოჰაბიტაციას.

**— პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების შანსზე რას იტყვით — ცხადია, უპირველესად, ნინო ბურჯანაძესა და დავით ბაქრაძეს ვგულისხმობ...**

— ნინო ბურჯანაძე ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად იყო წლების განმავლობაში. 5 წელი მეუღლესთან, ბადრი ბიწაძესთან ერთად, მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს უმყარებდა ხელისუფლებას და ნაციონალების დანაშაულთა უმეტესობა მაშინ მოხდა, როცა ბურჯანაძე ხელისუფლებაში იყო. იგი ძალიან მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურა გახლდათ — პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ სააკაშვილისა და მისი გუნდის თვითნებობის, ქვეყანაში უკანონობის დაკანონების, მასობრივი ტერორის თესვისა და ათასობით ადამიანის გაუბედურებისთვის ხელი არ შეუშლია; მეტიც — პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ნაციონალურ უმრავლესობასთან ერთად, ბევრჯერ მოგვევლინა სწორედ ამგვარი უკანონობის დამკანონებლად — კონსტიტუციასა და სხვა კანონებს ისე ცვლიდნენ, სააკაშვილის ავტოკრატ ბუნებას როგორც მიესადაგებოდა და ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყანაში ერთპარტიული დიქტატის დასამყარებლად. ხელისუფლებაში ყოფნისას, ნინო ბურჯანაძეს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ხალხის სასიკეთოდ და თუ ერთ ასეთ შემთხვევას შემახსენებს ქალბატონი ნინო, კარგი იქნება. ბურჯანაძე იყო 2007 წლის მშვიდობიანი აქციის ვანდალურად დარბევის ერთ-ერთი შემოქმედი — 2 დღის შემდეგ, 9 ნოემბერს, მან პარლამენტის ტრიბუნიდან ხელისუფლების ეს დანაშაული გაამართლა და მათ, ვინც ამ აქციის სათავეებთან იდგა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დასდო ბრალი, სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლ იმ გმირ ხალხს კი, რომელთაც სასტიკად გაუსწორდნენ, მოტყუებული და გულუბრყვილო ბრბო უწოდა. მოკლედ, ბევრი რამის გამო, ნინო ბურჯანაძეს ბოდიში აქვს მოსახდელი ქართველი ხალხისთვის, მაგრამ ამასაც არ აკეთებს და დღეს ქვეყნის პრეზიდენტობა სურს. მისი ქმედებები ყველას კარგად ახსოვს და 27 ოქტომბერს მას ხალხი საკადრის პასუხს გასცემს. ცხადია, ზუსტად არ ვიცი, ხმების რამდენ პროცენტს მიიღებს ბურჯანაძე, მაგრამ ბევრი რომ არ იქნება, დარწმუნებული ვარ და ეს იქნება მისი პოლიტიკური წარსულის ხმების ადეკვატური რაოდენობა. საჩხერის მაჟორიტარმა კარგად ვიცი, რა ხდება წინასაარჩევნოდ საჩხერეში და ისიც, თუ რა იკადრეს ბურჯანაძემ და მისმა კოორდინატორებმა — კოორდინატორები დადიან სოფლებში და ხალხს ატყუებენ, თითქოს ბურჯანაძეს ივანიშვილი უჭერს მხარს. ასე ცდილობენ ხალხის გაბრიყვებას, თუმცა ცხადია, ბურჯანაძე და მისი მომხრეები ბიძინა ივანიშვილის მშობლიური რაიონიდან ერთ ხმასაც ვერ წაიღებენ, ამიტომ ამ გზით — მოტყუებით ცდილობენ ფონს გასვლას, არადა გაიგო ხალხმა, რომ ეს სიცრუეა. დავით ბაქრაძე იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, რომელსაც ხალხმა ნდობა არ გამოუცხადა შარშან, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს და განწყობა ნაცმოძრაობის მიმართ არ შეცვლილა. ყველას კარგად ახსოვს ის 9-წლიანი ტერორი, რომელიც ამ პოლიტიკური ძალის მმართველობისას მძვინვარებდა ქვეყანაში, ამიტომ ბაქრაძეს ხალხის მხარდაჭერის იმედი ნუ ექნება და ვერც ლამაზ-ლამაზი კლიპები უშველის. ნაცმოძრაობის არაერთმა ლიდერმა ჯერ პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულებისთვის, რასაც ამ ხნის განმავლობაში სჩადიოდნენ. კარგი იქნებოდა, ბაქრაძეც თუ გაიზიარებდა პასუხისმგებლობას და მერე იფიქრებდა პრეზიდენტობაზე.

**— გიორგი მარგველაშვილი შეძლებს ამ ორადგახლეჩილი საზოგადოების შეკავშირებას? ხალხი ელის, რომ ეს ფუნქცია სწორედ ახალმა პრეზიდენტმა უნდა იტვირთოს და, ადრე თუ გვიან, ქვეყანა უნდა გამთლიანდეს.**

— ნაცმოძრაობის მიმართ საზოგადოება ძალიან აგრესიულადაა განწყობილი, ხალხს რევანში სწყურია და ხელისუფლების ამოცანაა, გახლეჩილი საზოგადოება შეაკავშიროს. ვისაც ნაციონალების მმართველობისას უპატიებელი დანაშული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე — ეს უდავოა, მაგრამ იგივე სიმკაცრით არ უნდა მოვექცეთ, ვთქვათ, სკოლის დირექტორებს, რომლებიც ხელისუფლების ზეწოლას განიცდიდნენ, ნაციონალების კოორდინატორობას ითავსებდნენ და უკანონო ქმედებებს სწორედ ზემდგომები ავალებდნენ, მათი დიდი ნაწილი ამას იძულებით აკეთებდა და თუ ხელისუფლების დაკვეთას არ შეასრულებდნენ, თავად და მათი ოჯახის წევრები გახდებოდნენ დევნის ობიექტები. ეს ადამიანები იყვნენ სისტემის მსხვერპლნი, ამ საშინელი სისტემის შემოქმედნი, იდეოლოგები, დამკვეთები და ორგანიზატორები კი აუცილებლად უნდა დაისაჯონ. მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, ვანო მერაბიშვილს, დათა ახალაიასა და სხვებს უნდა მოეთხოვოს პასუხი ჩადენილ დანაშაულებზე. პრინციპში, სააკაშვილის გარდა, ჩამოთვლილთაგან ყველა ბრალდებულია. ბევრიც სამართალდამცავთა მიერ იძებნება და ეს პროცესი, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საქმე, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. გიორგი მარგველაშვილი იზიარებს გუნდის ამ პოზიციას. მომხრეა, მთავარი დამნაშავეები დაისაჯონ და ამის შემდეგ მოხდეს საერთო საქვეყნო ინტერესების გარშემო ხალხის კონსოლიდაცია. მას შეუძლია ხალხი გააერთიანოს, ბევრი კარგი თვისება აქვს, ერთ-ერთი უმთავრესი კი, ისაა, რომ მუდამ მზადაა ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, ეძებს გამოსავალს, ცდილობს, კონფლიქტი მოაგვაროს და უმნიშვნელო კონფლიქტის გაღრმავების წინააღმდეგია. პრეზიდენტის პოსტს გიორგი მარგველაშვილი გამოიყენებს ქართველი ხალხის გასაერთიანებლად. მას ამის უნარიც აქვს, სურვილიც და ამ საქმეში ჩვენც გვერდით დავუდგებით.

**— არადა, გიორგი მარგველაშვილის ოპონენტები აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე, მას ხალხის მინიმალური მხარდაჭერა ექნებოდა.**

— ბიძინა ივანიშვილმა კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი სწორედ იმიტომ შეარჩია, რომ იგი ყველაზე ღირსეულად მიიჩნია. ეს გადაწყვეტილება პრემიერმა სწორედ გიორგის პიროვნული თვისებების, ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური ხედვების გამო მიიღო, მაგრამ ამაზე მისი ოპონენტები, რატომღაც არ ლაპარაკობენ. გიორგი კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატია და მისი გამარჯვებისთვის კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, ასევე წევრები, ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. გიორგი ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი, გულისხმიერი პიროვნებაა და მისი მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რაიმე სასიკეთო გაუკეთოს ხალხს. განათლების მინისტრის პოსტზე ხანმოკლე მუშაობისას, ეს არაერთხელ დაამტკიცა — სწორედ მისი თაოსნობით განხორციელდა სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება, გიორგის მინისტრობისას მოემატათ ხელფასი პედაგოგებს, სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო პროფესიულ-ტექნიკური განათლების დაფინანსება, უმაღლეს სასწავლებლებში უფასო ფაკულტეტები დაარსდა და ამ ფაკულტეტებზე სტუდენტთა სწავლას სახელმწიფო აფინანსებს... ეს ყველაფერი მარგველაშვილმა არასრულ ერთ წელში მოასწრო და ვფიქრობ, ამის შემდეგ ეჭვი არავის შეეპარება, რომ იგი რეფორმატორი პოლიტიკოსია, რომელიც ხალხისთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს.

**— იმ პერიოდში, როცა მარგველაშვილი განათლების მინისტრი იყო, თქვენ, როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერს, მასთან საქმიანი ურთიერთობა გქონდათ?**

— არაერთხელ მომიწია სხვადასხვა საკითხების გამო განათლების სამინისტროსთან ურთიერთობა, მათ შორის იყო ისეთები, რომლებიც მხოლოდ მინისტრს უნდა გადაეწყვეტა და გიორგი ყოველთვის ყურადღებით რეაგირებდა ჩემს მიერ დასმულ პრობლემებზე — მასთან მუშაობა კომფორტული იყო. როცა ადამიანი პროფესიონალია, გულისხმიერი და მთელი არსებითაა მომართული, საქვეყნო საქმე უხარვეზოდ აკეთოს, მასთან მუშაობა ყველასთვის სასიამოვნოა.

კვლევა

# ავტო-მანია-კები ქართულ პოლიტიკაში

*მე-3 გვერდიდან*

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ვერ ვუწოდებთ ვერც უკანონო და ვერც არაეფექტურ შესყიდვას. ასეთი შეფასება რომ გავაკეთოთ, რეალური პროგრამა უნდა გვქონდეს, რომლითაც განვსაზღვრავთ, თანხა ეფექტურად დაიხარჯა თუ არა. ერთადერთი გამოსავალი პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლაა — ბიუჯეტის დაგეგმვის დროსვე გვეცოდინება, რამდენი მანქანა გვყავს და რამდენის დამატება დაგვჭირდება წლის განმავლობაში.

**— არ შეიძლება მივიღოთ კანონი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენი მანქანა უნდა შეიძინოს ამა თუ იმ უწყებამ?**

— არა, რადგან პროგრამული ბიუჯეტირება ვერ განსაზღვრავს, რა მანქანა უნდა ჰყავდეს ამა თუ იმ უწყების კონკრეტულ ჩინოვნიკს. მაგალითად, უწყების შიგნით წლის განმავლობაში ახალი პროგრამა დაიწყო, რომლითაც ერთ-ერთმა დეპარტამენტმა დამატებითი ფუნქცია შეიძინა. დავუშვათ, ამ დეპარტამენტს უკვე ჰყავს ბალანსზე 1 მანქანა, მაგრამ ახალი პროგრამის ფარგლებში, დამატებით 3 მანქანა სჭირდება. ასეთ დროს, ძნელია, წინასწარ განსაზღვრო ავტომობილის რაოდენობა. პირობითად ჩავთვალოთ, რომ ეს პროგრამა ერთწლიანია ანუ ამ დეპარტამენტს დამატებით 3 მანქანა მხოლოდ ერთი წლით სჭირდება. შესაბამისად, მთავრობამ თავისი აზროვნება და ცხოვრების სტილი მხოლოდ პროგრამულ ბიუჯეტზე უნდა გადააწყოს. პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა კი იმას არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი კანონით არ დარეგულირდება, რადგან ბიუჯეტი კანონია. როდესაც ბიუჯეტის კანონში ჩაწერენ, რომ მაგალითად, ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციისთვის 3 მანქანაა საჭირო, მაგრამ წლის განმავლობაში 4 ავტომობილს შეიძენენ, ეს უკვე კანონის დარღვევაა.

**— უწყებებში ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება საწვავის შეძენაა, ძვირადღირებულ ავტომობილებს კი გაცილებით დიდი რაოდენობის ბენზინი და დიზელი სჭირდება. ეს კორუფციის რისკს არ ქმნის?**

— დიახ, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ამ ტიპის შესყიდვებში სხვა სახის პრობლემაც იკვეთებოდა, მაგალითად, შსს-სა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საწვავის შესყიდვები რომ შეგედარებინათ, ნავთობკომპანიები ეროვნულ ბიბლიოთეკას 1 ლ. საწვავში 2,10 ლარს, ხოლო შსს-ს 1,80 ლარს ახდევინებდნენ. მიზეზი ის იყო, რომ ბიბლიოთეკა ნაკლები რაოდენობით, ხოლო შსს დიდი ოდენობით საწვავს მოიხმარდა. ამიტომ წინა წლებში, მთავრობა კონსოლოდირებულ ტენდერებზე გადავიდა. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ერთიანი შესყიდვის პრინციპით იძენს საწვავს, რაც ამ ტიპის კორუფციულ ფაქტებს გამორიცხავს.

**— ვინ უნდა განსაზღვროს, რა ტიპის მანქანა უნდა შეისყიდოს უწყებამ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები ძვირადღირებული „ჯიპებით“ დადიან?**

— ამ პრობლემის მოგვარების გასაღებიც პროგრამულ ბიუჯეტშია. ყველაფერი ბიუჯეტში უნდა აისახოს, ამიტომ მთავრობის შიგნით უნდა წარიმართოს დებატები არა მარტო მანქანების რაოდენობაზე, არამედ — ავტომობილების მარკებზეც, მაგალითად, რა ტიპის მანქანა შეიძლება დასჭირდეს ამა თუ იმ უწყებას, ან რისთვის? დებატებმა პარლამენტშიც უნდა გადაინაცვლოს. ავტოპარკების განახლების საკითხი მსჯელობის საგანი უნდა იყოს. დებატების დროს უნდა გამოიკვეთოს, ძვირადღირებული მანქანა სჭირდება უწყებას, თუ ნაკლებფასიანი.

**— არ შეიძლება, სამთავრობო ავტოფარეხი არსებობდეს და თუ რომელიმე უწყების რიგით თანამშრომელს ავტომობილი დასჭირდება, ამ ფარეხიდან გამოიძახონ მძღოლი?**

— ბოლო დრომდე, რამდენიმე დაწესებულებაში არსებობდა „მორიგე“ და „პროტოკოლური“ ავტომობილი. თქვენი მოსაზრება მართალია, რაც ისევ სწორ დაგეგმვასა და პროგრამულ ბიუჯეტირებაზეა დამოკიდებული. თუ საერთაშორისო გამოცდილებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საკმაოდ ავტორიტეტული უწყებების ხელმძღვანელები საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ან საკუთარი ავტომობილებით სარგებლობენ, რაც სულაც არ არის სირცხვილი. მაგალითად, შვედეთის აუდიტის სამსახურის უფროსს არა თუ საკუთარი ავტომობილი არ ჰყავს, სამსახურებრივი მანქანაც კი არ ემსახურება და მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს!

რუსუდან შელია
557-100-768

# პოლიცია დეპოლიტიზირებულია, რეფორმები — გატარებული, კრიმინალმა იკლო...



## შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წლიური ანგარიში წარადგინა

24 ოქტომბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებსა და დიპლომატიურ კორპუსს 2013 წლის ანგარიში წარუდგინა და უწყებაში სოციალური პასუხისმგებლობის, ასევე საზოგადოებრივი აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები გააცნო. კერძოდ, მინისტრის განცხადებით, რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიცაა სამინისტროს დეპოლიტიზება, უწყების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალეობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის, ასევე ტრეფიკინგის, კორუფციისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამინისტროს მიერ ხარისხიანი მომსახურების გაწევა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში მისი ბრძანებით, ხელოვნურად გახსნილი უბნები დაიხურა, სადაც წინა ხელისუფლება პოლიციის თანამშრომლებს ხმის მიცემას აიძულებდა. ირაკლი ღარიბაშვილმა წლიური ანგარიშის წარდგენისას ყურადღება საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზეც გაამახვილა: **„შს სამინისტროს დეპოლიტიზებისა და რესტრუქტურიზაციის ფარგლებში, 2012 წლის ნოემბერში კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი) გაუქმდა, ხოლო მათ ნაცვლად, ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები შეიქმნა; ასევე სამინისტროში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა. 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. კერძოდ, 2013 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული ახალი კანონი „პოლიციის შესახებ", რომელშიც მთელი რიგი საპოლიციო ღონისძიებები ზედმიწევნით გაიწერა. განხილვის ეტაპზეა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ" კანონპროექტიც. შსს-ს მიერ შემუშავებულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივებიც. შემუშავებული კანონპროექტების ნაწილი საქართველოს პარლამენტში განსახილველად უკვე წარდგენილია, ნაწილი კი წარსადგენად მზადდება".**

შინაგან საქმეთა მინისტრის ანგარიშში მნიშვნელოვანი ნაწილი შს სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებას დაეთმო. მინისტრის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა 30%-ით გაიზარდა, რამაც საპატრულო პოლიციის მომსახურების არეალი გაზარდა და აქამდე აუთვისებელი რეგიონები დაფარა. კერძოდ, 2013 წლის 18 მარტს ფოთში, ხოლო 23 აგვისტოს ზესტაფონში პოლიციის ახალი შენობები გაიხსნა, 2013 წლის ბოლომდე კი 100-მდე სამშენებლო პროექტი დასრულდება, მათ შორის ჭიათურაში, საჩხერესა და გუდაურში. პარალელურად, ორი ახალი საპატრულო პოლიციის მშენებლობა იმერეთშიც მიმდინარეობს: **„მიმდინარე წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდება რიგი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა აჭარაში, იმერეთსა და კახეთში. მიმდინარეობს სპეციალური დანიშნულების რაზმების ბაზების რემონტიც. უკვე აღდგენილია ექვსი, ხოლო წლის ბოლომდე დაგეგმილია ოთხი სათვალთვალო კოშკურის მშენებლობა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრომ რამდენიმე ათეული საცხოვრებელი კონტეინერი შეიძინა და მესაზღვრეებისთვის საგუშაგო ჯიხურების მოწყობა დაიწყო. პირველად გაიმართა ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება. უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სხვადასხვა ქვედანაყოფები წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიან. სამინისტროში, სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა, მათი ნაწილი სხვადასხვა სამსახურებში უკვე დასაქმდა. 2013 წლის 17 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, პოლიციის ეთიკის კოდექსი და პოლიციელთა ქცევის ინსტრუქციები დამტკიცდა. აღნიშნული დოკუმენტი შსს-ში პირველად შემუშავდა".**

აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახური ვიდეოკედლითა და უახლესი მოდელის სერვერით აღჭურვა. მასში ასახულია სხვადასხვა ტიპის ტექნიკური სიახლე, სტატისტიკური მონაცემები და ცალკეული ოპერატიული დანაყოფების მიერ დასახული ამოცანები. სერვერთან დაკავშირებულია თბილისის გარემეთვალყურეობის კამერები და სხვადასხვა სახის დეტალური რუკებია ჩატვირთული. პარალელურად, 2013 წლის იანვრიდან მუშაობა მიმდინარეობს კრებსის მომზადების გაუმჯობესებულ პროგრამაზე. მისი საშუალებით, მომხდარი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მომენტალურად, 24-საათიან რეჟიმში რუკაზე აისახება.

რებრენდინგის ფარგლებში, შეიცვალა საპატრულო ავტომობილების შეფერილობა აღქმადობისა და ვიზუალური გარჩევადობის მიზნით. ავტომანქანები თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა. დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა, საპატრულო პოლიციის ოფიცრებს კი სამხრე ვიდეოკამერები, პრომილეს მზომი ახალი ალკოტესტები და ელექტროშოკები გადაეცა. სამინისტროს ავტოპარკების მთავარი შენაძენია ვერტმფრენი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოახდენს საჰაერო პატრულირებას. საპატრულო პოლიციის ავტოპარკს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით, GPS-ს სისტემითა და ბორტკომპიუტერებით აღჭურვილი ახალი მოდელის 360 ავტომანქანა შეემატა. სხვადასხვა სამსახურებს გადაეცათ მოტოციკლები, მინიკუპერები, ელექტრომობილები, კატერი და სპეცმანქანები.

პარალელურად, საპატრულო პოლიციის დაკვეთით საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მონტაჟი მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც, მხოლოდ თბილისში 300-მდე საგზაო ნიშანი დამონტაჟდა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, ავტოსაგზაო შემთხვევებში, გარდაცვლილთა რიცხვი 60%-ით შემცირდა.

რაც შეეხება სტატისტიკას, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, საპატიმრო დაწესებულება 16892-მა პირმა დატოვა, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის რიცხვმა იკლო, მისი გახსნის მაჩვენებელი კი გაიზარდა. 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 37,2%-ით გაიზარდა და 57,2% შეადგინა. დანაშაულთან ბრძოლის კუთხით მინისტრმა შსს-ს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზეც ისაუბრა. კერძოდ, 2012 წლის ნოემბრიდან შსს-ს მიერ დაკავებულია ექვსი ე.წ. კანონიერი ქურდი, 2013 წლის ივლისში კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 116,5 კგ. ჰეროინი ამოიღო. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, მსგავსი მასშტაბის ოპერაციას აქამდე ადგილი არ ჰქონია. ამასთან, 2013 წლის განმავლობაში შსს-ს მიერ ტრეფიკინგის მუხლით გამოძიება დაწყებულია 15 შემთხვევაზე, რომელთაგან ოთხ საქმეზე მუხლი გადაკვალიფიცირდა, ხოლო შვიდზე შესაბამის პირებს ბრალი წაუყენეს და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა: **„2013 წლის 8 აპრილს არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათებისა და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღებისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ძებნა გამოცხადდა. 2013 წლის 20 სექტემბერს ტრეფიკინგის ფაქტზე საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს, რომელიც დაზარალებულს სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდა. 2013 წლის ივნისში, სამეგრელოში, მიწისქვეშა სამალავები აღმოვაჩინეთ, საიდანაც დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული წამლები, აგრეთვე ოპოზიციურად განწყობილი პირების ფოტოსურათები და პირადი მონაცემების შემცველი არქივი ამოვიღეთ. გარდა ამისა, სამალავებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ადამიანის სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელებისა და დამამცირებელი მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა იპოვეს".**

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთ სიახლეზე ისაუბრა. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, უწყებაში მომუშავე მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დანამატი დაუწესდათ, რომელიც 534 თანამშრომელზე გაიცემა. შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის პირველი მარტის ბრძანებით კი, ქორწინების, შვილის შეძენის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სამინისტროს თანამშრომლები 1250-ლარიან დახმარებას იღებენ. დღევანდელი მონაცემებით, მსგავსი დანამატი 1424 თანამშრომელზე გაიცა: **„ფინანსდება სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. დღემდე აღნიშნულ მიზნებს 1 909 458 ლარი მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიცია მთელი წლის განმავლობაში ჩართულია აქციაში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე".**

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას წარმატებულად მიიჩნევენ საქართველოს მთავრობის წევრები. საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე უდიდეს მიღწევად პოლიციის დეპოლიტიზებას მიიჩნევს: **„ეფექტური ბრძოლა დანაშაულთან, დანაშაულის პრევენცია, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვა არის ის, რაც ჩვენ ქვეყანას ჭირდებოდა და რაც, სამწუხაროდ, წინა წლებში ვერ ხერხდებოდა. ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გატარებული რეფორმები უმაღლესი შეფასების ღირსია და მას ამ დიდ წარმატებას ვულოცავ. ვუსურვებ, ყველაფერი ისე გააგრძელოს, როგორც დაიწყო".**

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს წლიური ანგარიშის შეფასებისას ყურადღება კრიმინალის მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებასა და დანაშაულის გახსნის სტატისტიკის ზრდაზე გაამახვილა. მისი განცხადებით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როცა პოლიცია საარჩევნო პროცესში არ ერევა და ქვეყანაში განსხვავებულ აზრსაც არავინ დევნის: **„მოხარული ვარ, რომ საქართველოს ასეთი წარმატებული შინაგან საქმეთა სამინისტრო და მინისტრი ჰყავს".**

ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობა ჯანდაცვისა და განათლების მინისტრებმაც დადებითად შეაფასეს. თამარ სანიკიძის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში შთამბეჭდავი იყო: **„ჩანს, რომ სისტემაში პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი ფაქტები, როგორიცაა გამჭვირვალედ ფუნქციონირების დანერგვისკენ სწრაფვა, რაც ნაწილობრივ, განხორციელებულია კიდეც. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ ამდენი პატიმრის გამოშვების მიუხედავად, ქვეყანაში კრიმინალმა იკლო. გარდა ამისა, დროებითი დაკავების იზოლატორებში არ ფიქსირდება არანაირი დარღვევა, რაც საკმაოდ კარგი ტენდენციაა და მიანიშნებს იმაზე, რომ სისტემა ეფექტურად მუშაობს".**

ღარიბაშვილის ერთწლიანი მუშაობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ელჩმა, ალექსანდრა ჰოლ ჰოლიმაც შეაფასა: **„პრეზენტაცია ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. შსს ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანოა ქვეყანაში, ამიტომ მიმაჩნია, რომ ის რეფორმები რის შესახებაც დღეს შევიტყვეთ, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ მიმავალ გზაზე. დიდი ხანია შსს-ში არ ვყოფილვარ და დღეს მივხვდი, როგორ აისახება ქვეყანაზე ეს ყოველივე. თავისთავად, ეს ძალიან პოზიტიური და მნიშვნელოვანი რეფორმებია. მოუთმენლად ველი შს სამინისტროსთან მუშაობის გაგრძელებას. მოხარული ვიქნები, თუ დიდი ბრიტანეთი რაიმეთი შეძლებს სამინისტროს დახმარებას".**

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკის თქმით კი, ამერიკა საქართველოს, განსაკუთრებით, შს უწყებაში ღონისძიებების გატარებისას, ყოველთვის გვერდით უდგას: **„მოხარული ვარ, რომ დავესწარი შს მინისტრის პრეზენტაციას, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები წარმოგვიდგინა. აშშ საქართველოს და შს სამინისტროს რეფორმების განხორციელების კუთხით ყოველთვის გვერდით ედგა. მოხარულები ვართ, რომ გავეცანით არაერთ ახალ და განხორციელებულ ინიციატივას".**

# „თუ ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე ვერ გავა, „სამძიმრის ტელეგრამას“ გავუგზავნი“

## ლევან ბერძენიშვილი არჩევნების შედეგებს პროგნოზირებს და 27 ოქტომბრის შემდგომ პროცესებს აანალიზებს



რუსუდან შელია
557-100-768

**რამდენიმე დღეში ქვეყანა ახალ პრეზიდენტს აირჩევს, თუმცა საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ კამათობს საკითხზე, დაინიშნება თუ არა მეორე ტური ან რომელი კანდიდატი გავა მეორე ადგილზე — ნაციონალური მოძრაობა თუ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ვინ გეგმავს არჩევნების დღეს პროვოკაციას და ნიშნავს თუ არა კოჰაბიტაციის დასრულება ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი „ვერსიასთან“ საპრეზიდენტო კანდიდატებს აფასებს და პოსტსაარჩევნო პროცესებზეც საუბრობს.**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ წინასაარჩევნო პროცესმა მშვიდად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა — ჯერჯერობით, სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა და კანდიდატებიც თანხმდებიან, რომ განსაკუთრებული შეფერხებები არ არსებობს. არ უარვყოფ, რომ წვრილი დარღვევები მაინც შეინიშნებოდა, მაგრამ მმართველმა გუნდმა ყველა მიზეზი სრულად განმარტა. საბოლოოდ, თამამად შეიძლება თქმა, რომ მსგავსი საარჩევნო გარემო საქართველოში ჯერ არასოდეს ყოფილა, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ პრაქტიკულად, ცნობილია, ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი.

— **ფაქტი, რომ ქვეყნის პრემიერი და ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მეორე ტურს კატეგორიულად გამორიცხავენ, დემოკრატიის განვითარების მანიშნებელია?**

— ის ფაქტი, რომ დღეს, ძირითადად, საზოგადოება კამათობს — დაინიშნება თუ არა მეორე ტური ან ვინ გავა მეორე და მესამე ადგილზე, იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანამ დემოკრატიული განვითარება რეალურად დაიწყო. შეგახსენებთ, ადრე არჩევნებამდე მხოლოდ იმაზე ვკამათობდით, რომ შედეგები აუცილებლად გაყალბდებოდა და ოპოზიცია გაყალბების 17 მეთოდსაც კი ასახელებდა. პრემიერისა და გიორგი მარგველაშვილის განცხადებები და კრიტიკაც ნორმალურია, რადგან მსგავსი პროცესები ყველა განვითარებულ სახელმწიფოში მიმდინარეობს. მაგალითად, საფრანგეთში ყველა არჩევნების წინ საუბარია იმაზე, დაინიშნება თუ არა მეორე ტური. ფაქტია, ჩვენ დემოკრატიის პრინციპებს ჩამორჩენილი ქვეყანა ვიყავით, ახლა კი ნელ-ნელა წინ მივიწევთ. საზოგადოებას ბიძინა ივანიშვილის განცხადებები გასაოცრად ეჩვენება, მაგრამ მსგავსი ხელოვნური ქაოსიც მალე დალაგდება.

— **პრემიერის წინასაარჩევნო განცხადებები — თუ გიორგი მარგველაშვილი არჩევნებში 60%-ზე ნაკლებ ხმას მიიღებს, საზოგადოების წინაშე ნაკლები პასუხისმგებლობა მექნება... თუ მარგველაშვილი გაიმარჯვებს, ქონების 90%-ს მხოლოდ ამ შემთხვევაში დავხარჯავ ქვეყნის განვითარებისთვის... ამომრჩევლის შანტაჟად უკვე შეფასდა...**

— რატომ ვავალდებულებთ პრემიერს კუთვნილი ქონების ხარჯვას? ექვსი მილიარდი აქვს თუ შვიდი, მისი საკუთრებაა და როგორც საჭიროდ ჩათვლის, ისე მოიქცევა. პირიქით, ამ ადამიანს მადლობა უნდა გადავუხადოთ, რომ 9-წლიანი ტოტალიტარული რეჟიმი დაასრულა. ისტორიისთვის ესეც საკმარისია, ახლა კი საზოგადოების ჯერია — ქვეყნის განვითარებაში წვლილი თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს — დაუშვებელია, მუდმივად სხვის იმედად ვიყოთ; თანაც შანტაჟი იურიდიული ბრალდებაა და არა მგონია, პრემიერს მსგავსი განცხადებით სისხლის სამართლის დანაშაული ჩაედინა.

— **თქვენი პროგნოზით, მეორე ტური დაინიშნება?**

— ვფიქრობ, მეორე ტური არ დაინიშნება, თუმცა ამ შემთხვევაში, ჩემი განცხადება არაფერს ნიშნავს — ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. მომავალი გვაჩვენებს, იქნება თუ არა მეორე ტური. თუმცა ვიმეორებ — მთავარია, დღეს არავინ დავობს, რომ ხელისუფლება არჩევნებს არ გააყალბებს. პირდაპირ გეტყვით, არჩევნები დღესვე რომ ჩატარდეს, მეორე ტური არ იქნება, მაგრამ არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღეა დარჩენილი და არავინ იცის, მართალია მცირე, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ პერიოდში, მოვლენები როგორ განვითარდება.

— **არჩევნებამდე ორი დღით ადრე რა მოლოდინი გაქვთ, საპრეზიდენტო კანდიდატებისგან პროვოკაციებს გამორიცხავთ?**

— როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, მოულოდნელობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ პროვოკაციებზე საუბარი გადაჭარბებულად მეჩვენება, თანაც არა მგონია, არჩევნების დღეს პროვოკაციები რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატს აწყობდეს. გარწმუნებთ, საქართველოში არჩევნები მშვიდ გარემოში ჩაივლის და დემოკრატიის ამ გამოცდასაც წარმატებით ჩავაბარებთ.

— **დღესაც ფიქრობთ, რომ მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძის გასვლას დავით ბაქრაძის გასვლა აჯობებს?**

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობ და მსგავსი შინაარსის განცხადებაც არასოდეს გამიკეთებია, უბრალოდ, ჩემი ფრაზა კონტექსტიდან ამოგლეჯილად გავრცელდა. იმას კი არ ვამბობ, რომ უმჯობესია, ნინო ბურჯანაძე მესამე ადგილზე გავიდეს. უბრალოდ, შექმნილი რეალობიდან ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მეორე ადგილზე გასასვლელად საჭირო ხმებს ვერ მოაგროვებს. შიდაკვლევებს ინტენსიურად ვატარებთ, ამიტომ ვიცი, რომ დავით ბაქრაძეს ნინო ბურჯანაძეზე მეტი შანსი აქვს, მეორე ადგილზე გავიდეს.

— **საპარლამენტო არჩევნებამდე კვლევებს არ ენდობოდით, ახლა დამოკიდებულება იმიტომ შეიცვალეთ, რომ ხელისუფლებაში ხართ?**

— ნაციონალების მიერ აღებული თითოეული საარჩევნო ხმა გულს მტკენს. ჩემთვის სულ ერთია, ბურჯანაძე იქნება თუ ბაქრაძე, ზოგადად, არ მომწონს, როცა საზოგადოება „ყოფილებს“ ხმას აძლევს, თორემ არავის ვგულშემატკივრობ. ეს ჩემი, როგორც ექსპერტის ანალიზია — ბაქრაძე დასავლურ ორიენტაციას ამჟღავნებს, ნინო ბურჯანაძე პრორუსულს, ქართველი ხალხი კი დიდი ხანია დასავლეთისკენ მიიწევს. საზოგადოების 80% სწორედ პროდასავლურია და აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ნინო ბურჯანაძეს მეორე ადგილზე გასვლის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს.

— **ნინო ბურჯანაძის სარეკლამო რგოლები ბევრად ამბიციურია, თანაც უკვე გახმოვანდა ინფორმაცია, რომ დამარცხებისა და მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აქციების გამართვას გეგმავს.**

— აქციები იმაზეა დამოკიდებული, რამდენად პატიოსნად დაითვლება ამომრჩეველთა ხმები. თუ გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდება და შედეგებს არავინ გააყალბებს, 27 ოქტომბრის შემდეგ სერიოზული აქციები მოსალოდნელი არ არის. შესაძლოა, რამდენიმე პოლიტიკოსს ამის მცდელობა მართლაც ჰქონდეს, მაგრამ მათ ხალხის მხარდაჭერა არ ექნებათ. თუ ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე ვერ გავა, „სამძიმრის ტელეგრამას“ გავუგზავნი. ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს ვპირდები, პროტესტის საფუძველი არ იქნება, რადგან ყველა ამომრჩევლის ხმას დავითვლით. ამის შემდეგ რა უნდა მოითხოვონ?

— **იმ ფონზე, როცა საარჩევნო კანონმდებლობა და ძველი სიები დიდი ხანია სადავო საკითხს წარმოადგენს, როგორ დაუმტკიცებთ საპრეზიდენტო კანდიდატებს, რომ ყველა ამომრჩევლის ხმა დათვლილია?**

— დამტკიცება არაფერს სჭირდება, თანაც ყველა საპრეზიდენტო კანდიდატმა კარგად იცის მისი შესაძლებლობის შესახებ. რაც მთავარია, 27 ოქტომბრის შემდეგ მთავარი სადარდებელი — კოჰაბიტაცია დასრულდება და ქვეყანა წინსვლას ბევრად სწრაფი ტემპით გააგრძელებს.

— **კოჰაბიტაციის დასრულება ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ნიშნავს?**

— კოჰაბიტაციის დასრულება ნიშნავს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ორი პარტია არ იქნება. არავინ იფიქროს, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს დავერევით — საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაწყებული კოჰაბიტაცია დასრულდება, თუმცა უმრავლესობასა და უმცირესობას, პოზიცია-ოპოზიციას შორის თანამშრომლობა აუცილებლად გაგრძელდება.

— **თუმცა პრემიერმა არ გამორიცხა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი დაიკითხოს. თუ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს მართლაც დააკავებენ, საპარლამენტო უმცირესობასთან თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— არავითარ შემთხვევაში! პოლიტიკური დევნის განხორციელებას „ქართული ოცნება“ არ აპირებს. ეს რომ გვდომოდა, ერთი წელი არ მოვიცდიდით და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკურად გავანადგურებდით. ვიმეორებ, ეს ჩვენი სურვილი არასოდეს ყოფილა, რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, თუ გამოძიებას მასთან კითხვები ექნება, მათ შორის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რასაც მეც არ გამოვრიცხავ, ეს აბსოლუტურად კანონიერი პროცესი იქნება და სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორება იგეგმება. თანამდებობა ინდულგენცია არ არის და ეს საზოგადოების სკეპტიკურად განწყობილ ნაწილს კარგად უნდა ესმოდეს.



### „არჩევნების შემდეგ ყველაზე მთავარი იქნება, მოხდება თუ არა პრეზიდენტ სააკაშვილის გასამართლება“

კარნეგის მშვიდობის ფონდის ექსპერტის თომას დე ვაალის განცხადებით, საქართველოში მიმდინარე დაკავებებთან დაკავშირებით, უცხოეთში გაურკვევლობაა, თუმცა მთლიანობაში — საქართველოს დასავლელი პარტნიორები ძალიან ბედნიერი არიან საქართველოს გარდამავალი ეტაპით და მიღწეული პროგრესით. ეს განსაკუთრებით ევროკავშირთან ურთიერთობებში საქართველოს მოლაპარაკებებს შეეხება: **„თუმცა, არჩევნების შემდეგ მთავარი იქნება, როგორ განვითარდება მოვლენები და მოხდება თუ არა პრეზიდენტ სააკაშვილის გასამართლება, რასაც შესაძლოა, დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვეს“.**

თომას დე ვაალისვე შეფასებით, კოჰაბიტაცია რთული ეტაპია ნებისმიერი ქვეყნისთვის, სადაც პრემიერი ერთ პარტიას მიეკუთვნება, პრეზიდენტი კი მეორეს: **„ასეა, მაგალითად, საფრანგეთში. საქართველოში კი ეს ბევრად მტკივნეული იყო, რადგან ორი ლიდერი, პოლარიზებული გარემოს ფონზე, ერთმანეთს დაუპირისპირდა გასულ წელს ჩატარებულ არჩევნებში. კოჰაბიტაცია არჩევნების შემდეგ დასრულდება“.**

რაც შეეხება ვილნიუსის მოახლოებულ სამიტს, თომას დე ვაალი ფიქრობს, რომ საქართველო, სომხეთსა და უკრაინასთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაშია: **„რუსეთმა უკვე გამოიყენა წნეხი საქართველოზე. ასე მოხდა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში. რუსეთი ამაზე მეტს ველარაფერს გააკეთებს. შესაბამისად, თბილისმა ევროკავშირისკენ სვლა უნდა გააგრძელოს“.**

***„პირველი“***



### „სპეცუბნების გაუქმება ნიშნავს, რომ ხელისუფლება საკუთარ თავში დარწმუნებულია“

პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის თქმით, სპეცუბნები არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი იყო: **„როგორც პრემიერმა აღნიშნა, ხელისუფლება უარს ამბობს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ხმების გამოყენებაზე. ასევე, სპეცუბნები არ იქნება. ეს პირდაპირი ნიშანია, შეიძლება ითქვას, დიაგნოზია, რომ ამ ფაქტობრივად, ჯიბეში ჩადებული ხმების გამოყენებაზე დღევანდელი ხელისუფლება უარს ამბობს. არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონდა კანონიერი უფლება, ამით ესარგებლა. ეს მოწმობს, რომ ამ თვალსაზრისით არჩევნები კანონთან სრულ შესაბამისობაში მოდის“.**

მისივე თქმით, სპეცუბნები და ეთნიკურად არაქართული მოსახლეობის ხმები, ფაქტობრივად, არჩევნების ბედს წყვეტდა: **„მით უმეტეს, მაჟორიტარულ ოლქებში სპეცუბნებს უზარმაზარი როლი ჰქონდა. ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში მაშინდელმა ხელისუფლებამ თბილისის მასშტაბით და არა მხოლოდ, რამდენიმე სპეცუბანი გადაანაცვლა იქ, სადაც ყველაზე სუსტი იყო მათი მაჟორიტარების პოზიციები. ასე რომ, ეს იყო მანიპულაციის საბადო. შესაბამისად, ეს მართლაც უპრეცედენტოდ თამამი ნაბიჯია და ნიშნავს: ხელისუფლება დარწმუნებულია თავის თავში და მეორე, ეს იქნება პირველი არჩევნები ასეთი მასშტაბის თავისუფლებით“.**

ე.წ. დახურული უბნების გაუქმების შესახებ განცხადება შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაავრცელა.

***„პირველი“***

# „რომპეტროლი" საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს მიესალმება



კომპანია „რომპეტროლი" საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს მიესალმება და შესაბამისი ქმედებებით პასუხობს. როგორც „რომპეტროლის" მენეჯმენტში აცხადებენ, კომპანიამ კოდექსში შეტანილი ცვლილებების საპასუხოდ მიიღო ზომები — გაზარდა თანამშრომლების ანაზღაურება და შეამცირა სამუშაო საათები.

საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებები ზაფხულში განხორციელდა და ძალაში 4 ივლისს შევიდა. პარლამენტის ახალი დადგენილების მიხედვით, (თავი IV, მუხლი 14-ე) დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო. ასევე, სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. საქართველოს ბაზარზე „რომპეტროლი" პირველი ნავთობკომპანიაა, რომელმაც ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი კანონპროექტი საკუთარ მენეჯმენტში განახორციელა.

**„რომპეტროლი" ბევრ ევროპულ ქვეყანაში მუშაობს და ყველგან, დასაქმების პირობებს, კანონმდებლობის მიხედვით, მკაცრაც იცავს. ძალიან კარგია, რომ საქართველოს მთავრობამ ამ საკითხს მიაქცია ყურადღება და მიიღო ზომები. ჩვენც, ცვლილებების შესაბამისად, გავაუმჯობესეთ სამუშაო პირობები — ბენზინგასამართ სადგურებზე სამუშაოდ მივიღეთ 130 ახალი თანამშრომელი და ამის შედეგად, დავამატეთ კიდევ ერთი ცვლა. ახლა 3 ცვლის ნაცვლად, გვაქვს 4 და პერსონალს არ უწევს ზეგანაკვეთური სამუშაო. მომსახურე პერსონალს — ჩამსხმელებს, სადგურების მენეჯერებს, კოორდინატორებს 20%-მდე გავუზარდეთ ხელფასი. ასევე მივეცით გარანტირებული შვებულების უფლება. ვამაყობთ ამ ცვლილებებით და გვიხარია, რომ გავუუმჯობესეთ პირობები თანამშრომლებს, რომლებიც ემსახურებიან ჩვენს მომხმარებლებს და საუკეთესო პროდუქციას სთავაზობენ",** – აცხადებს „რომპეტროლის" გენერალური დირექტორი **ნურკენ მურზაგალიევი**.

მენეჯმენტის ზრუნვას პირობების გაუმჯობესებაზე და განხორციელებულ ცვლილებებს ეხმაურებიან და დადებითად აფასებენ კომპანიის თანამშრომლებიც. **„სამუშაო პირობების გაუმჯობესების შემდეგ „რომპეტროლში" მუშაობა უფრო პრესტიჟული და სასურველი გახდა. ჩვენ ვგრძნობთ ხელმძღვანელობის ძალიან დიდ მხარდაჭერას და უფრო დიდი სტიმული გვაქვს მოვემსახუროთ მომხმარებლებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ მომუშავე პერსონალს ახლა უფრო ნაკლები სამუშაო და მეტი ხელფასი აქვს",** — განაცხადა ბაგების ბენზინგასამართი სადგურის მენეჯერმა **მალხაზ მეტრეველმა.**

რაც შეეხება კომპანიის გეგმებს და სხვა ცვლილებებს, ნურკენ მურზაგალიევის ინფორმაციით, 2013 წლის ბოლომდე კომპანია 7 ახალი ბენზინგასამართი სადგურის გახსნას გეგმავს. „რომპეტროლის" ახალი ობიექტები თბილისის რამდენიმე უბანში გაიხსენება, სადაც აქამდე არ იყო წარმოდგენილი. **„რაც მთავარია, ახალი სადგურები განსხვავებული დიზაინის იქნება. რესტაილინგის შედეგად, ახალი სადგურები ძირითადად თეთრ, ნარინჯისფერ და წითელ ფერში იქნება წარმოდგენილი. ქსელის გაფართოების და ახალი სადგურების ავტომატიზაციისთვის „რომპეტროლი" 2 მილიონ დოლარამდე ინვესტიციას ჩადებს",** — აცხადებს ნურკენ მურზაგალიევი.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე „რომპეტროლის" წილი ამჟამად 18%-ს შეადგენს. კომპანიის მენეჯმენტი განაგრძობს განვითარებას, უკვე 8 წელია, წარმატებით ნერგავს ნოვაციებს და ევროპულ სტანდარტებს. საწვავის ზუსტი ჩასხმის გარანტიის უზრუნველსაყოფად კი „რომპეტროლი" 2008 წლიდან მუდმივად ახორციელებს ქსელის სისტემის ავტომატიზაციას. კომპანია უახლოეს მომავალში მომხმარებლებისთვის არაერთ წამახალისებელ პროექტს და აქციასაც გეგმავს.



# ლიბერთი ბანკმა და ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოში ყველაზე მასშტაბური და თანამედროვე ელექტრონული დარბაზი გახსნეს

21 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტრონული დარბაზი გაიხსნა. ახალი დარბაზი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ გახსნეს.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ელექტრონული დარბაზის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა ლიბერთი ბანკის მხარდაჭერით შეძლო. მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ლიბერთი ბანკმა ელექტრონული დარბაზისთვის 50-მდე კომპიუტერი, ავეჯი და სხვა საჭირო ტექნიკა შეიძინა. უახლესი ტექნიკა ეროვნული ბიბლიოთეკის ახალგარემონტებულ ფართზე განთავსდა.

ელექტრონული დარბაზი, რომლის სახელი „ლიბერთი" იქნება, მკითხველს შესთავაზებს ელექტრონულ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს და თავისუფალ წვდომას ინტერნეტზე. დარბაზი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც შეითავსებს.

ასევე ბანკი და მისი შვილობილი კომპანია სმარტექსი რომელიც წარმოადგენს პირველ ქართულ ვენჩურულ ფონდს ინტერნეტპროექტების დაფინანსებისთვის ორგანიზებას გაუწევენ ბიბლიოთეკაში ინტერნეტპროექტებისა და კომპანიების დაარსების, მართვისა და კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სემინარების ჩატარებასა და ამ სფეროში გავლენიანი სტუმრების მოწვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი ელექტრონული დარბაზი ყველაზე მასშტაბური და თანამედროვე სამკითხველო დარბაზია საქართველოში.

## ვერსიანიუსი

### მტკვარზე 16 ახალი ჰესი აშენდება



ჰესების მშენებლობის შესახებ ენერგეტიკის სამინისტროსა და „მტკვარი ენერგიას" შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვით, საშენებელი ჰიდროელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 331,6 მგვტ-ს შეადგენს, წლიური გამომუშავება კი 1,815 მლრდ კვტ.საათს მიაღწევს.

პროექტში გათვალისწინებულია მდინარე მტკვრის კალაპოტის გასწვრივ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ნაგავსაყრელების გაუქმება, სარეკრეაციო ზონების შექმნა. მემორანდუმი, ახალი ჰესების მშენებლობის მიზნით, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებას გულისხმობს. კომპანიამ კვლევა 27 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც ჰესების ტექნიკური მონაცემები დაზუსტდება და ინვესტორი სამუშაოების განსახორციელებლად კონკრეტულ პროექტებს დაიწყებს. პროექტების განხორციელებაში დაახლოებით, 600 მლნ დოლარი ინვესტიცია ჩაიდება. ამასთან, კომპანია მშენებლობის პროცესში 4500 ადამიანს დაასაქმებს, ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ კი 400 მუდმივ სამუშაო ადგილს შექმნის.

*BPI*

### შეჩერდა თუ არა საქართველოში იმპორტირებული კვერცხის შემოტანა



მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის ინფორმაციით, საქართველოში იმპორტირებული კვერცხის შემოტანა ფაქტობრივად შეჩერებულია. ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, მიზეზი თურქეთსა და უკრაინაში კვერცხის გაძვირებაა.

ზურაბ უჩუმბეგაშვილის განცხადებით, თურქეთში კვერცხის ფასმა 10%-ით მოიმატა, ხოლო უკრაინაში ერთი ყუთი კვერცხის ფასი 16-დან 46 დოლარამდე გაძვირდა. უჩუმბეგაშვილის თქმით, იმპორტიორ ქვეყნებში პროდუქციის გაძვირებამ ქართული წარმოშობის კვერცხს ადგილობრივ ბაზარზე პოზიციები გაუმყარა და მიუხედავად დეფიციტისა, ქართულ კვერცხზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. მისივე თქმით, გაკოტრების რეჟიმში გადასულმა კომპანიებმა წარმოების აღდგენა დაიწყეს და იმედი აქვთ, რომ საშობაოდ საჭირო მარაგს დააგროვებენ.

### საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7585 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2013 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 7585 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 0,1 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 2019 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (14 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 5566 მლნ. აშშ დოლარს (4 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ-სექტემბერში 3548 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47 პროცენტი შეადგინა.

*BPI*



# „ფრთხილად, საქართველოში „ოლიგარქატის ეპოქა“ იწყება!“

## რა პროგნოზს აკეთებს ნესტან კირთაძე წინასაარჩევნოდ და რა შემთხვევაში იტყვის ისტორიკოს-ანალიტიკოსი, რომ ქართული საზოგადოება უარესის ღირსია

რუსუდან შელია
557-100-768

**პრემიერის პოლიტიკიდან წასვლას უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას, ხოლო მთავრობას მარიონეტსა და სუსტს უწოდებს. ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში თავისუფალი აზრის მონოპოლიზების მიზნით გადადის და ქვეყნის საუფლისწულო მამულად გადაქცევას ცდილობს. ანალიტიკოსი ნესტან კირთაძე წინასაარჩევნო პროცესებსაც არაკონკურენტულად მიიჩნევს და „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ვილნიუსის სამიტის წინ, გარიგებაში ამხელს. მისი განცხადებით, უკვე განსაზღვრულია, რომ მეორე ადგილზე გასულმა დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს არჩევნების მეორე დღეს ხელი უნდა ჩამოართვას და გამარჯვება მიულოცოს. სახალხო მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე პოლიტიკურ პროცესებს აანალიზებს და „დანაფტალინებულ პოლიტიკოსებს“ უნდობლობას უცხადებს.**

— წინასაარჩევნო კამპანია ისე მიილია, მმართველ გუნდს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების, თანაბარი გარემოს შექმნისა და ამომრჩეველთა სიების გასწორების კუთხით არაფერი გაუკეთებია. ხელისუფლება მუშტით განახორციელებს ზეწოლას თუ გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით, ორივე შემთხვევაში უარყოფით შედეგს ვიღებთ. მოსახლეობაში სრული ნიჰილიზმია, რადგან „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებებისგან ერთიც კი არ შეუსრულებია. მესიანიზმი უნდა დასრულდეს და საზოგადოებას აღარ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ივანიშვილი საკუთარ ქონებას ხალხს თავზე დააყრის.

**— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ წინასაარჩევნო დაპირებები ოთხ წელზეა გაწერილი. ამ ფონზე, პრემიერი ამბობს, „ოცნებამ“ გადაჭარბებითაც იმუშავაო...**

— ბევრი რაიონი და სოფელი მოვიარე. ვიცი, რომ მოქალაქეები სიღატაკის ზღვარსმიღმა ცხოვრობენ — ყველა ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული პროექტი შეჩერებულია, სამუშაო ადგილების შექმნის ნაცვლად, უმუშევრობის რიცხვი მატულობს, სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილს დახმარება მოეხსნა. ამ დროს, ივანიშვილი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იღებს , პოლიტიკიდან მიდის, პოლიტიკურ სივრცეში კი თავის მარიონეტებს, სუსტ და არაპროფესიონალ მთავრობას ტოვებს.

**— თუ მესიანიზმი უნდა დასრულდეს, პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლა საფრთხისშემცველი რატომაა?**

— ივანიშვილის ოცნება და მისია ქვეყანაში ოლიგარქატის (ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ახალი ტერმინს ვამკვიდრებ) ტიპის მმართველობის ჩამოყალიბებაა, სწორედ ამიტომ გადადის ის სამოქალაქო სექტორში — ფრთხილად, საქართველოში „ოლიგარქატის ეპოქა“ იწყება, სადაც ყოველგვარი განსხვავებული და თავისუფალი აზრი იგნორირებული იქნება. თუ პოლიტიკური სპექტრი, მედია და სამოქალაქო სივრცე ამ ადამიანის ხელში აღმოჩნდა, საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე საუბარი ზედმეტი იქნება.

**— ამ განცხადებას ჟურნალისტებსა და ექსპერტებთან პრემიერის შეხვედრების გამო აკეთებთ?**

— დიახ, ეს ტენდენციაა. ივანიშვილი განსხვავებულ აზრს, პოზიციასა და, ზოგადად, პლურალიზმს ვერ ეგუება. ის ფაქტი, რომ პირად ანგარიშზე რამდენიმე მილიარდი ერიცხება, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველო საუფლისწულო მამულად უნდა აქციოს. ფაქტია, პრემიერმა უამრავი საბედისწერო შეცდომა დაუშვა. კოალიცია შექმნა ისეთი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც ერთმანეთის მტრები არიან. მთავრობაც ერთი კაცის სურვილებზეა ჩამოკიდებული და ყველა შიშით უყურებს, ბიძინა რომელ საათზე ადგება, როგორი იქნება მისი განცდა დღის განმავლობაში. დღეს ქვეყანაში აღმოსავლეთის დესპოტიზმის მაგვარი პოლიტიკური სისტემაა, სადაც საქართველოს მომავალს მხოლოდ ოლიგარქი წყვეტს. პირადად მე, ქართველ ხალხს სერიოზული ალტერნატივა შევთავაზე, როცა საპრეზიდენტო კანდიდატად დავრეგისტრირდი. თუ ახლა საზოგადოება სწორ არჩევანს არ გააკეთებს, ხელს წარსულს ჩამოართმევს.

**— საპრეზიდენტო კანდიდატად კენჭი იმიტომ იყარეთ, რომ საზოგადოებისთვის ალტერნატივა შეგეთავაზებინათ და გამარჯვებაზე გათვლა არც გქონიათ?**

— ქართველ ხალხს აქვს შანსი, სახალხო პრეზიდენტი ჰყავდეს. როცა საქართველოს საზღვრებს მრავალრიცხოვანი ჯარი მოადგებოდა, ქართველი მეფეები კი რამდენიმეათასიან ჯარს ვერ აგროვებდნენ, დამარცხებაზე მაინც არავინ ფიქრობდა. სამწუხაროდ, დღეს ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც პრემიერი ღიად აცხადებს — ჩემ მეგობარ გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში მოსახლეობის 65%-მა უნდა დაუჭიროს მხარიო. თუ ასეთი ტემპით განვაგრძეთ სვლა, პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის ნიმუში კი არა, ანარეკლიც აღარ ვიქნებით.

**— საკმაოდ აქტუალური გახდა მეორე ტურის დანიშვნის საკითხიც. თქვენი პროგნოზი როგორია — რა მოხდება, თუ მარგველაშვილი პირველივე ტურში ვერ გაიმარჯვებს, მეორე ტურში კი, მონაწილეობას მართლა არ მიიღებს?**

**— ამომრჩევლის ემოციების მოდუნება მეტყველებს, რომ დიდი ალბათობით, მეორე ტური არ დაინიშნება. ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია: ვილნიუსის სამიტის წინ, მეორე ადგილზე გასულმა დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს ხელი უნდა ჩამოართვას და გამარჯვება მიულოცოს. ამას ტელევიზიები აქტიურად გააშუქებენ და მომზადდება ტექსტი, რომ საქართველო ევროპულ ოჯახში პირველი ნაბიჯების შესადგმელად უკვე მზადაა.**

**— „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის შესაძლო გარიგება გახდა მიზეზი, რომ საკმაოდ აქტიურად დაწყებული თქვენი წინასაარჩევნო კამპანია, შედარებით, პასიური გახდა?**

— როგორ წარმოგიდგენიათ გაუყალბებელი არჩევნები მაშინ, როცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ „ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიან და ბიულეტენზეც მხოლოდ ამ პოლიტიკური ძალების ხელმოწერა ფიქსირდება?! რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, ყველაფერი გონივრულად და სწორად განვსაზღვრე — მოსახლეობას აქტიურად ვხვდებოდი, პარალელურად, მნიშვნელოვანი შეხვედრები მქონდა ოფიციალურ ბრიუსელში, ვაშინგტონსა და უკრაინაში. კარგი იქნება, თუ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი საზოგადოებას შედეგებს წარუდგენს. კიევში გამართული შეხვედრიდან ბიზნესმენთა წინადადებების მთელი პაკეტი ჩამოვიტანე. მათ ქართული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა სურთ. მსგავსი საკითხები საპრეზიდენტო კანდიდატებს არ აღელვებთ. მხოლოდ ერთმანეთისთვის წარსულის შეხსენებით არიან დაკავებულნი.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნინო ბურჯანაძემ აქციებისთვის ქოლგების შეძენა დაიწყო და არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად ემზადება. პოსტსაარჩევნო პერიოდი როგორი იქნება?**

**— თუ ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასაყვანად ქუჩაში თუნდაც ათი ადამიანი გამოვა, ჩავთვლი, რომ ქართული საზოგადოება უარესის ღირსია. ეს პოლიტიკური პერსონა, საკმაოდ ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში, ხალხის გვერდით არასოდეს მდგარა. არ გახსენებია ქუჩაში გამოსული, უნივერსიტეტიდან გამოყრილი პროფესორები, არც წვრილი მოვაჭრეებისა და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების პრობლემები გაუზიარებია. მოშიმშილე პოლიტიკოსებსაც არ გამოუცხადა სოლიდარობა. 7 ნოემბერს თავისუფალი დემონსტრანტებიც არაფრად ჩააგდო და არც 26 მაისს იდგა ხალხის გვერდით. პირიქით, როცა დარბევა დაიწყო, ოჯახის წევრებთან ერთად ჯიპსაც გადაასწრო და რუსთაველის გამზირი დატოვა. მან თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ პარლამენტის დემოკრატიული ინსტიტუტი ნოტარიუსის ბიუროდ გადააქცია. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე ორი „სამხრეთ ოსეთი“ და ორი აფხაზეთი გაჩნდა. რაღაც ზღვარი ხომ არსებობს? ზოგიერთ ექსპერტს მივმართავ: ნინო ბურჯანაძის ფული კარგია, მაგრამ ასე როგორ გაგიწყდათ შუბლის ძარღვი? რატომ გავიწყდებათ, რომ საქმე სამშობლოს ეხება?!**



### „საპრეზიდენტო არჩევნები საუკეთესო იქნება მათ შორის, რაც კი აქამდე ქვეყანაში ჩატარებულა“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შეფასებით, არსებული წინასაარჩევნო გარემო გაცილებით მშვიდია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებულ პერიოდთან შედარებით: **„მიუხედავად იმისა, რომ კონკურენცია საკმაოდ დიდია, წელს გაცილებით ნაკლები დაძაბულობაა. შესაბამისად, ველოდები, რომ ეს იქნება ყველაზე საუკეთესო არჩევნები, რაც კი აქამდე ჩატარებულა“.**

რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდში დარღვევის ფაქტებს, ცსკო-ს თავმჯდომარის თქმით, იმდენად ცოტა შემთხვევა დაფიქსირდა, რომ წინასაარჩევნო გარემოზე ზემოქმედება არ მოუხდენია.

*„პირველი“*



### დევნილების ყოველთვიური დახმარება, შესაძლოა, 45 ლარამდე გაიზარდოს

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის დავით დარახველიძის თქმით, მთავრობა განიხილავს პროექტს, რომელიც დევნილთა ყოველთვიური პენსიის 22 ლარის 45 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს: **„25 ოქტომბერს, მთავრობის სხდომაზე განიხილება პროექტი, რომლის მიხედვითაც, ყველა დევნილი ყოველთვიურად 45-ლარიან დახმარებას მიიღებს. პროექტის ძალაში შესვლა 2014 წლის 1 იანვრიდან არის გათვალისწინებული. მთავრობის სხდომაზე რა გადაწყდება, ჯერ არ ვიცი, მაგრამ იმედია, კანონს გავიტანთ“.**

*„პირველი“*



### გენადი ონიშჩენკო დიმიტრი მედვედევის თანაშემწედ დაინიშნა

რუსეთის ყოფილი მთავარი სანიტარი, დიმიტრი მედვედევის თანაშემწედ დაინიშნა. „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის მოვალეობას კი, მისი ყოფილი მოადგილე ანა პოპოვა შეასრულებს, რომელიც ახლო მომავალში, სავარაუდოდ, აღნიშნული უწყების ხელმძღვანელის თანამდებობას დაიკავებს.

მედვედევის პრესმდივნის, ნატალია ტიმაკოვას განცხადებით, ონიშჩენკოს გათავისუფლებისა და პოპოვას მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის განკარგულებებს პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა.

გენადი ონიშჩენკო „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის თანამდებობას 2004 წლის 12 მარტიდან იკავებდა.

*„პირველი“*

# შრომისუუნარობის გამომწვევი 10 ძირითადი დაავადებიდან ხუთი ფსიქიკურ აშლილობას მიეკუთვნება

## როგორ აპირებენ ექსპერტები და ჯანდაცვის სამინისტრო ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმის დანგრევას



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

შესაძლებლობების შეზღუდვის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, ადამიანის ფსიქიკური პრობლემებია, რასაც ემატება იზოლაცია საზოგადოებისგან. „ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის“ განცხადებით, საქართველო, როგორც მსოფლიოს ნაწილი, ხმას იმაღლებს ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმის წინააღმდეგ: **„ნაწილობრივ, სტიგმით აიხსნება ის გარემოება, რომ ვერც მსოფლიო და ვერც ჩვენი ქვეყანა სათანადოდ ვერ აცნობიერებს ფსიქიკურ დაავადებათა საფრთხის რეალურ მასშტაბს, არადა დადგენილია, რომ შრომისუუნარობის გამომწვევი 10 ძირითადი დაავადებიდან ხუთი ფსიქიკურ აშლილობას მიეკუთვნება. მოსალოდნელია, რომ 2020 წლისთვის, ინვალიდობის გამო დეპრესიული აშლილობა მეორე ადგილს დაიკავებს გულსისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ. მისასალმებელია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტების ინიციატივით მოხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიული გეგმის შემუშავება“.**

სახალხო დამცველის, **უჩა ნანუაშვილის** განცხადებით კი: **„საქართველო არსებული სტიგმის წინააღმდეგია. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს ჩვენთან დღემდე განიხილავენ, როგორც მხოლოდ „პაციენტებს“ და არა როგორც უფლების მქონე სუბიექტებს. ნაწილობრივ, სტიგმით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს ფსიქიკურ დაავადებათა საფრთხის რეალურ მასშტაბს. სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შედეგებს. შესაბამისი უწყებებისთვის მომზადდა სათანადო რეკომენდაციებიც, საკანონმდებლო ორგანოში სრულად გაიზიარეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი. პარლამენტის დადგენილებით, სამინისტრომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მდგომარეობის გაუმჯობესების, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მიზნით, უნდა განახორციელოს ადეკვატური რეფორმები და უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა. ფსიქიკური ჯანმრთელობა ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი სოციალური სერვისების შემუშავება-განხორციელება სახელმწიფოს მოვალეობაა. სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვა“.**

გამოქვეყნდა ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგები, რომელიც ომით დაზარალებული მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას შეისწავლის. კვლევის ავტორები არიან საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სკოლა და ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“.

სპეციალური კითხვარების მეშვეობით, ორგანიზაციებმა შეაფასეს ისეთი ფსიქიკური აშლილობების არსებობა, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, ტრავმისშემდგომი სტრესული აშლილობა, ასევე მათი დამოკიდებულება შესაძლებლობების შეზღუდვასთან და ჯანდაცვითი სერვისების გამოყენება.

**თავშესაფრის არქონა, მძიმე დაზიანება, საომარ მოქმედებაში ჩართვა, მკვლელობის ხილვა, ძალადობა ახლობლის მიმართ — ეს ის ძირითადი ტრავმული გამოცდილებაა, რაც გამოკითხულმა 3600-მა რესპონდენტმა დაასახელა. ორგანიზაციებმა გამოკითხეს 1990-იანი და 2008 წლის კონფლიქტის გამო იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე ის ადამიანები, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს დროებით დატოვეს საცხოვრებელი და შემდეგ დაბრუნდნენ.**

**კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ყველა ფსიქიკური აშლილობა უფრო ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში, ფსიქიკური აშლილობები იმატებს ხანდაზმულ ასაკში. გამოკითხულთა დაახლოებით 30%-ს ფსიქიკური აშლილობის, სულ მცირე, ერთი კრიტერიუმი მაინც აქვს, რომელთა შორის წამყვანია დეპრესია, შფოთვა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.**

დადგინდა ძლიერი კავშირი ფსიქიკურ აშლილობებსა და შესაძლებლობების შეზღუდვას შორის. მათ შორის, ვისაც პოსტტრავმული აშლილობის ნიშნები აქვს, შესაძლებლობების შეზღუდვა აღენიშნება 14%-ს, დეპრესიის მქონე პირებში ეს ციფრი 20%-ს აღწევს, შფოთვითი აშლილობების ნიშნების მქონე პირებში კი მაჩვენებელი 19%-ია.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანთა დაახლოებით ნახევარი არ მიმართავს ექიმს, არც სათანადო მომსახურეობას იღებს და არც დახმარებას. პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მქონე პირთაგან ყოველ მესამეს მიაჩნია, რომ საერთოდ არ აქვს პრობლემა ანუ ადამიანები ეგუებიან დისკომფორტულ და მძიმე სიმპტომებს (მძიმე განმეორებითი მოგონებები, აღგზნებადობა, ძილის დარღვევა...) და მათ „ჩვეულებრივ“ მოვლენად მიიჩნევენ, არადა კვალიფიციურ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს.

გამოკითხულთა 19,6% მიიჩნევს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში სჭირდებოდა, მაგრამ ვერ მიმართა სამედიცინო სამსახურს. დასახელებულ მიზეზებს შორის წამყვანია მომსახურებისა და წამლების მაღალი ფასი და გადახდისუუნარობა.

სამედიცინო მომსახურებას ხშირად მიმართავენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირები ანუ ისინი, ვინც სახელმწიფო სადაზღვევო სქემითაა დაზღვეული. **„კვლევის შედეგად, პროფესიული საზოგადოება და პოლიტიკოსები მიიღებენ მტკიცებულებებს ომით დაზარალებული მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესაბამისი სერვისების განვითარებას“,** — აცხადებს საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ წარმომადგენელი **ივდითი ჩიქოვანი**.

პოლიტოლოგი და ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ვერსიას“ უხსნის, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებისთვის უპირველესი მკურნალობის უფლებაა და ამ თვალსაზრისით, დღეს ქვეყანაში ვითარება გაუარესებულია: **„ამ ავადმყოფების ერთ-ერთი სპეციფიკა ისაა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ითხოვს სტაციონარში ყოფნას, რაც მხოლოდ მკურნალობის პირობებს კი არა, საზოგადოებისგან იზოლაციასაც გულისხმობს. სერიოზული ფსიქიკური დაავადების მკურნალობა არცთუ ისე ეფექტურია, ამიტომ ასეთ სტაციონარებში ყოფნა დიდხანს უწევთ, დღეს კი საქართველოში სტაციონარი, პრაქტიკულად, არ არსებობს და, შესაბამისად, ისინი ამბულატორული მკურნალობის ამარა რჩებიან ან არიან ზოგადი პროფილის კლინიკებში, ფსიქიატრიულ განყოფილებაში, რაც გაუგონარი დარღვევაა. ფსიქიატრიულ ავადმყოფს სწორედ იზოლირებული და ასევე, თავისებური გარემო ესაჭიროება, რომლის დაცვა საერთო პროფილის კლინიკაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია... ამ ფონზე, ზედმეტია საუბარი, რომ მათი მკურნალობის უფლება დაცულია ისევე, როგორც ახლობლების ინტერესები“.**

რამაზ საყვარელიძე ფსიქიატრიული სტაციონარის არარსებობას საკითხისადმი ნაციონალური ხელისუფლების დამოკიდებულებას უკავშირებს: **„იყო ასეთი სტაციონარი ასათიანის ქუჩაზე და როგორც ვიცი, გლდანში გადაიტანეს. რაღაც ახალი კონცეფცია შემუშავდა და უმეტესად, ქვეყანაში არსებული რამდენიმე დიდი სტაციონარი ამ კონცეფციით მოხსნეს, ზოგადი პროფილის კლინიკებში კი ფსიქიატრიული განყოფილებები შექმნეს. რატომ? ნაციონალების კონცეფციები ძნელადგასარკვევია. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ კლინიკები კარგ ადგილას მდებარეობდა, შენობები სარფიანად გაიყიდებოდა და შეიძლება, მოტივიც ეს იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ დროს, მეეჭვება, ფსიქიატრიულ ავადმყოფებზე ეფიქრათ — ეს პოლიტიკური ძალა ადამიანებზე ზრუნვით არ გამოირჩევა“.**

რაც შეეხება იმას, რომ ეს ადამიანები საზოგადოებისგან გარიყულები არიან. რამაზ საყვარელიძის თქმით, სტიგმასთან დაკავშირებით კითხვები მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ისმის: **„სტიგმის შემცირების ან მოხსნის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საშუალებაა, ფართო საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია დაავადებების შესახებ. სიტყვა „გიჟი“ შეურაცხყოფაა — აქედან წარმოიქმნა სტიგმა. ამასთან, სულით ავადმყოფი, როგორც პიროვნება, ძლიერი არაა. ყველაზე საშინელება, რაც ადამიანს შეიძლება ავადმყოფობის გამო დაემართოს, „მეს“ დაკარგვაა. სტიგმას ამანაც შეუწყო ხელი. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას და გავაგებინოთ, რომ ფსიქიკური აშლილობა არ არის მხოლოდ მათი განაჩენი, ვინც კლინიკაში მოხვდა. თითოეულ ჩვენგანს აქვს ასეთი ფსიქიკური აშლილობები, დიდი ან მცირე დოზით. ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული განათლების მიღება სკოლის მერხიდანაა საჭირო. ჩვენ კი, სიტყვა „ფსიქოლოგია“ პირველად უმაღლესში გვესმის, თან რაღაც ზოგადი აქცენტების შესწავლით. სტიგმა ფსიქოლოგიური გაუნათლებლობის შედეგიცაა“.**

### 8 ფაქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ:

**1. ფსიქიკური აშლილობები, ძირითადად, 6-14 წლის ასაკში იჩენს თავს. მსოფლიოში ბავშვთა და მოზარდთა დაახლოებით 20%-ს აღენიშნება ფსიქიკური დარღვევები. დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში ყოველ 1,4 მილიონ ადამიანზე მხოლოდ ერთი ბავშვთა ფსიქიატრი მოდის;**

**2. ყოველწლიურად, დაახლოებით, 800 000 ადამიანი ამთავრებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით. მათი 86% დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნების მკვიდრია. თვითმკვლელთა უმრავლესობის საშუალო ასაკი 15-44 წელია. თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მამაკაცებზეა. თვითმკვლელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი კი, ფსიქიკური აშლილობაა;**

**3. დეპრესიას ფსიქოლოგიურ, ქცევით და ფიზიკურ სიმპტომებთან ერთად, ახასიათებს მუდმივი მოწყენილობა და ინტერესის დაკარგვა;**

**4. ფსიქიკურ აშლილობას იწვევს ომები და სტიქიური უბედურებები. ამ დროს, როგორც წესი, ფსიქიკური აშლილობის შემთხვევების რიცხვი ორმაგდება;**

**5. ფსიქიკურ დარღვევებთან დაკავშირებული სტიგმის გამო, ადამიანები ერიდებიან, მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას. კვლევამ აჩვენა, რომ სტიგმის დონე უფრო მაღალია ურბანულ რაიონებში და მაღალი დონის განათლების მქონე ადამიანთა შორის;**

**6. ფსიქიკურ აშლილობას იწვევს ისეთი ფაქტები, როგორიცაა თავისუფლების შეზღუდვა, იზოლირება, ძირითადი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა და პირად ცხოვრებაში ჩარევა;**

**7. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში ფსიქიატრების, ფსიქიატრიის სფეროში სპეციალიზირებული მედდების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ნაკლებობა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ადეკვატურ მკურნალობა-მოვლას. დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ყოველ 100 000 ადამიანზე 0,05 ფსიქიატრი და 0,42 მედდა მოდის. ფსიქიატრთა რაოდენობა მაღალი შემოსავლების ქვეყნებში 170-ჯერ მეტია, ხოლო მედდების რაოდენობა – 70-ჯერ;**

**8. მთავრობებმა, დონორებმა და ჯგუფებმა, რომლებიც წარმოადგენენ ფსიქიკური ჯანმრთლობის სფეროში მომუშავეთა ინტერესებს, პაციენტებმა და მათმა ოჯახებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით, დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. საჭირო ფინანსური რესურსები შედარებით მცირეა: წელიწადში კაცზე 2 აშშ დოლარი დაბალი შემოსავლების ქვეყნებში და 3-4 აშშ დოლარი – საშუალო შემოსავლების იმ ქვეყნებში, რომლებიც დაბალი შემოსავლების ქვეყნების დონეს უახლოვდება.**



## ქვემო ქართლის რეგიონში საპატრულო პოლიციის რებრენდინგი განხორციელდა

23 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს ახალი საპატრულო მანქანები გადაეცა. რუსთავში ღონისძიებას შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ. მინისტრის თქმით, საპატრულო პოლიციის რებრენდინგის პირველი ეტაპი ქვემო ქართლის რეგიონით დასრულდა და ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რეფორმის მეორე ეტაპის განსახორციელებლად. ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბდება საპატრულო პოლიციის ახალი რეგიონული დანაყოფები, რომლებიც განთავსდება ახალ კომფორტულ და თანამედროვე შენობებში; დაიხვეწება საპატრულო პოლიციის მართვის სისტემა. უახლოეს დღეებში შეიქმნება გურიის რეგიონის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო. მინისტრი თავის სიტყვაში ასევე შეეხო საპრეზიდენტო არჩევნების თემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასული წლის მთავარი მიღწევა თავისუფალი არჩევანის უფლებაა და თუ ვინმე შეეცდება მის დარღვევას, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. მინისტრმა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და თანამშრომლებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდას" მარკის 21 და „ტოიოტა ჰაილუქსის" („პიკაპის" ტიპის) 3 ახალი ავტომობილით შეივსო; ასევე გაფართოვდა ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ახლა უკვე „ტოიოტა ჰაილუქსის" ახალი ავტომანქანებით დაიწყეს პატრულირება წალკის რაიონის მიმართულებით.

გარდა ამისა, რეგიონში პატრულ-ინსპექტორებს გადაეცათ: სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით)... საპატრულო პოლიციის რებრენდინგი მიმდინარე წლის მაისში თბილისში დაიწყო და ქვეყნის რვავე რეგიონში წარმატებით განხორციელდა.

*„ვერსიანიუსი"*



## ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, 1946 წელს დაბადებული ალექსანდრე ს. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე თბილისში დააკავეს.

სამართალდამცავებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 14 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალექსანდრე ს-მ ნარკოტიკული საშუალება რუსეთის ფედერაციიდან ამანათით მიიღო. სპეციალურ შეკვრაში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება ქალის ფეხსაცმელში იყო მოთავსებული. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი"*

# „ფარისევლური განცხადებები წინა რეჟიმის მანიაკალურ არსს ვერ ცვლის"




მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პრეზიდენტს ქუთაისის მე-2 საპყრობილეში გარდაცვლილი პატიმრის თვითმკვლელობის ვერსია აეჭვებს. სააკაშვილმა 16 წლის გოგა ძველაიას ოჯახს მიუსამძიმრა და მომხდარის შესახებ ინფორმაცია გარდაცვლილის მამისგან მიიღო. გოგა ძველაია ციხეს მალე დატოვებდა, რადგან გირაო ჰქონდა შეფარდებული.

პრეზიდენტის შეფასებით, გოგა ძველაიას ოჯახი პატიოსანი შრომით ირჩენს თავს და შვილს გირაოს თანხა მალე შეუგროვა: **„ბიჭს ჰქონდა კონფლიქტი ციხეში დაბრუნებულ მაყურებლებთან. ჩხუბისას მაყურებელი დაემუქრა, მოგკლავ, თუ კიდევ ერთხელ მოხვდები აქო. მან დაწერა განცხადება ცალკე საკანში მოთავსების შესახებ. მინდა მათ გასაგონად ვთქვა, ვისაც სინდისი არ აქვს და დღედაღამ ლაპარაკობს, რომ ხალხს სისხლს წოვდნენ ციხეებში — ჯალათები და ადამიანის უფლების დამრღვევები შეიძლება ყველა მთავრობის დროს იყვნენ. მთავარია, მთავრობა რა რეაქციას მოახდენს. ციხის ადმინისტრაციაში შეიძლება იყოს შეპარული კრიმინალური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანი, ისეთი, როგორიც ბედუკაძეა. დაკანონებული ქურდები და მაყურებლები იყვნენ მხოლოდ შევარდნაძის დროს და არიან მხოლოდ ივანიშვილის დროს".**

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, ციხის ადმინისტრაციამ გარდაცვლილის ოჯახს უთხრა, რომ საკანში გადაღებულ ვიდეომასალაში ხარვეზებია. პრეზიდენტს საეჭვოდ ეჩვენება, რომ კამერას ზუსტად მაშინ ჰქონდა ხარვეზი, როცა ეს მოხდა:

**„ჰკითხეთ საკუთარ თავს, ჯეჯილობდნენ თუ არა ქურდები სააკაშვილის დროს და არიან თუ არა ივანიშვილის დროს. ფაქტია, მაყურებელთან ჰქონდა ჩხუბი, დაწერა განცხადება — მომკლავენო და რამდენიმე საათში მოკლეს. ჩვენ დროსაც ციხეში ხდებოდა ბევრი უბედურება, მაგრამ სადისტი სისხლისმსმელი ბედუკაძის მიერ გავრცელებული კადრები რომ დადგმული იყო, ყველამ იცის. ჩემი პრეზიდენტობისას ქურდები და მაყურებლები ციხეს არ მართავდნენ. ეს ხალხი უკან დაბრუნდა. ამაზე მეტი საშინელება არ შეიძლება მოხდეს".**

სააკაშვილის შეფასებით, ხელისუფლება „კანონიერ ქურდებს" ხელს აფარებს. პრეზიდენტი მთავრობას მოუწოდებს, რეალობას გაუსწოროს თვალი და არ დაუშვან „კრიმინალების გაჯეჯილება": **„ეს დიდი ტრაგედიაა და რა თქმა უნდა, გამოსაძიებელია. იქამდე, გეგუთის ციხის უფროსის დავალებით, ქურდებმა პატიმარი მოკლეს და თქვეს, რომ თვითონ გადმოვარდა; ამ შემთხვევაში თქვეს, თავი მოიკლაო. ეს საეჭვოა. ფაქტია, ჩვენ დროს ქურდები ალაგებდნენ საკანს და ერთმანეთს ურჩევდნენ საქმეს, ახლა კი ციხეებს ხელმძღვანელობენ. მინისტრი არაფერ შუაშია, მთავრობამ არ უნდა დააფაროს ხელი ამ ყველაფერს. მინისტრი საერთოდ არის ქმედუნარიანი? ეს კაცი გინახავთ ტელევიზორში? როგორ შეიძლება ამ კაცზე სერიოზული საუბარი? მივმართავ პრემიერ ივანიშვილს, რადგან ეს ხდება მისი მთავრობის დროს — როდესაც ჩემი მთავრობის დროს, ჩემდა უნებურად, ჩემგან დაუკითხავად ეს ხდებოდა, ავიღე პასუხისმგებლობა და საბოლოოდ, ამომრჩეველმაც დაგვაკისრა ამაზე პასუხისმგებლობა. მზად ვარ, მთავრობასთან ერთად, კიდევ ერთხელ ავიღო პასუხისმგებლობა, რომ ციხეებში ქურდები აღარ დავაბრუნოთ".**

„ვერსიასთან" საუბრისას, ყოფილ პატიმარ **ცოტნე გამსახურდიას**, პრეზიდენტის ამ განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება უჭირს. მისი თქმით, ფარისევლური გამოსვლები ვერ ცვლის მანიაკალური რეჟიმის არსს, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინა ხელისუფლების მმართველობისას სუფევდა: **„შეუძლებელია და არც ღირს ამის სერიოზულად შეფასება. სააკაშვილის დროს ციხეები მაყურებლების ხელით იმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ე.წ ქურდებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. რა დღეში ჰყავდა პატიმრები ამ მანიაკალურ რეჟიმს, არავისთვისაა საიდუმლო. რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას, არანაირი ნიშანი არ გვაქვს, ივანიშვილის მთავრობა ე.წ. ქურდებსა და მაყურებლებს აძლიერებს".**

უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** ამბობს, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას, ნაციონალებმა „კანონიერი ქურდები" თავად ჩაანაცვლეს — ახალაია, მეგის ქარდავა, ალეკო მუხაძე, იგივე ქილერა, ჭაკუა, ხუჭუა... ამ როლსა და ფუნქციას ასრულებდა: **„ისინი „ქურდების" მსგავს მეთოდებს იყენებდნენ იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ ასრულებდნენ მათ მითითებებს — როგორი ჩვენება-აღიარება დაეწერათ, დანაშაული ვისთვის დაებრალებინათ, ვინ „ჩაეშვათ", ვის ეთანამშრომლა... მათ სჯიდნენ ცემით, ე.წ. საქათმეში გაშვებით, გაუპატიურებით, მუქარით (მათ შორის ოჯახის წევრებზე), „ობშიაკში" ფულის მიტანის დავალებით... უბრალოდ, ისინი ამას ოფიციალურად აკეთებდნენ. ავალებდნენ თანამშრომლებს, თითქოს ეს კანონიერი საქმიანობა იყო. მათთვის არანაირი საფრთხე არ არსებობდა, „ობშიაკი" ლეგალიზებული იყო და ყულაბას თვითონვე განკარგავდნენ. რეალურად, ისინი „ფორმიანი კანონიერი ქურდები" იყვნენ დაიყენებდნენ „კრიმინალურ ავტორიტეტებსაც", რომლებსაც ნიშნავდნენ „მაყურებლებად". თუ „კანონიერ ქურდებად" ქცეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ძალით ვერ აღწევდნენ მიზანს, მაშინ ამ ე.წ მაყურებლების საშუალებით „ამუშავებდნენ" პატიმრებს. ამბობდნენ, ეს „ქურდების" ბრძანებაა და „ქურდული წესი" ასე მოითხოვსო. ამ პატიმრების საშუალებით კი, სხვა პატიმრებზე ახდენდნენ ზემოქმედებას. ილუზიაა, თითქოს „მაყურებლის სისტემა" მოსპეს — სინამდვილეში, ამ ინსტიტუტის ტრანსფორმირება მოახდინეს. ნაციონალებს უნდათ, ყველას დაანახონ, თითქოს ყველა სფეროში გაუარესდა საქმე. ქვეტექსტია — ისევ ჩვენ უნდა მოგვიყვანოთ ხელისუფლებაში, თუ გინდათ წესრიგი, ეკონომიკური აღმავლობა, ხელფასების მომატება... მეორე მხრივ, როგორც მათ ლიდერს სჩვევია, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევენ".**

კოჰაბიტირებულთა კითხვა-პასუხებს თავი რომ დავანებოთ, სასჯელაღსრულების სისტემა დღევანდელი მთავრობის „აქილევსის ქუსლადაც" რჩება. ციხეში დაფიქსირებული ტრაგიკული შემთხვევები ამას მოწმობს. ობიექტურმა გამოძიებამ ყველა საჭირბოროტო კითხვას პასუხი უნდა გასცეს. რაც მთავარია, დაწესებულებებზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელების საშუალება უნდა იყოს, რომ უფლებადარღვევის შემთხვევები მინიმუმამდე დავიდეს.




# პირველად საქართველოში: პრეზიდენტის შეცვლა საარჩევნო ყუთებით







ლორა ლინდერმანი,
მელინდა ჰარინგი

ATLANTIC COUNCIL

**საქართველოში არჩევნები და ზოგჯერ, მისი ხმაურიანი შედეგები, სუსტი ნერვების ადამიანებისათვის განკუთვნილი არ არის. ქვეყანა 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებს გამართავს და ეს არჩევნები ისტორიულია: პირველად, მოქმედი პრეზიდენტი საარჩევნო ყუთებით შეიცვლება და არა ქუჩის საპროტესტო აქციებით. ერთი წლის წინანდელი საარჩევნო გარემოსგან განსხვავებით, ქვეყანაში სიმშვიდეა.**

## წინა საპრეზიდენტო არჩევნები და დღევანდელი გარემო

2007 წლის ნოემბერში, ათასობით დემონსტრანტი გამოვიდა რუსთაველის გამზირზე, თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა — სააკაშვილსა და მის მთავრობას კორუფციაში ადანაშაულებდნენ. მან საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, დემონსტრანტები ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაშალა. მისი ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ის ავტორიტარი გახდა და დემოკრატიის გზიდან გადაუხვია; ამ კრიტიკას სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით უპასუხა 2008 წლის იანვარში და ხმათა 53%-ით გაიმარჯვა. დღეს პრეზიდენტის პოსტზე 23 კანდიდატი იყრის კენჭს და ეს ყველაზე კანდიდატმრავალი არჩევნებია ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან (1991 წელი). კანდიდატების უმრავლესობას ცოტა თუ იცნობს, რადგან პოლიტიკაში მანამდე არ აქტიურობდნენ; წინასაარჩევნო პერიოდი შედარებით მშვიდია, პრეზიდენტობის შანსი კი სამ კანდიდატს აქვს: გიორგი მარგველაშვილს, დავით ბაქრაძესა და ნინო ბურჯანაძეს.

## შესანიშნავი სამეული

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რომელსაც პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ექვსი პოლიტიკური პარტიაა: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“; რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნება“ ოთხ საკითხზე აკეთებდა აქცენტს: დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. ივანიშვილი აცხადებდა, რომ მხარს დაუჭერდა ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციას და იმავდროულად, შეეცდებოდა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას.

**გიორგი მარგველაშვილი**, ვიცეპრემიერი და განათლების ყოფილი მინისტრი, კოალიცია „ქართული ოცნების“, ფაქტობრივად, უცნობი საპრეზიდენტო კანდიდატია. კვლევებში მარგველაშვილი 20%-იანი მაჩვენებლით ლიდერობს, მიუხედავად იმისა, რომ მას საყოველთაო ცნობადობა არ აქვს — პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია. მისი პლატფორმა მოიცავს უმუშევრობის შემცირებას, ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების ზრდის ხელშეწყობას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებას, რუსეთის მიმართ საბრძოლო ტონის შერბილებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქართულ პოლიტიკაში ათი წელია დომინირებს. პარტიის დაბადება უკავშირდება იმედგაცრუებას, რომ ედუარდ შევარდნაძე არ ავლენდა პოლიტიკურ ნებას, დაპირისპირებოდა გაბატონებულ კორუფციას, რომელიც ქვეყანას აზიანებდა. 2001 წლის ბოლოს იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძეს გაემიჯნა და ნაციონალური მოძრაობა დააფუძნა. დასაწყისშივე, პარტია ხასიათდებოდა რეფორმისტული შემართებით და პროდასავლური ორიენტაციით. მისი პლატფორმა დაეფუძნა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ლიბერალიზმს ნაციონალიზმის ძლიერი შემადგენლით. დასაწყისში, მემარცხენე-ცენტრისტული ძალა ნელ-ნელა მემარჯვენე-ცენტრისტულ გაერთიანებად გადაიქცა, თავისუფალი ბაზრის მხარდამჭერი რიტორიკით, თუმცა პოპულისტური ტენდენციები არ დაუკარგავს. პარტია მხარს უჭერს ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას და დასავლეთისთვის მიბაძვისკენ ისწრაფვის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა, ნაწილობრივ — „ციხის სკანდალის“ გამო და ხელისუფლებას ჩამოშორდა.

**დავით ბაქრაძე** – პარლამენტის სპიკერი 2008-2010 წლებში. მას აქვს ზომიერი პოლიტიკოსის რეპუტაცია საქართველოს უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში. ბაქრაძემ განაცხადა, რომ ნაციონალურ მოძრაობას აქვს ბევრი პოზიტიური მიღწევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტიამ პასუხისმგებლობა უნდა მოიხსნას წარსულ შეცდომებზე. მისი პლატფორმა პარტიის პლატფორმისგან არ განსხვავდება; ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს შორის ბაქრაძე პოზიტიური რეიტინგით სარგებლობს; როგორც პრეზიდენტი, ყურადღებას გაამახვილებდა სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკაზე.

**ნინო ბურჯანაძე,** პარლამენტის ყოფილი სპიკერი 2001-2008 წლებში და პრეზიდენტის მოვალეობის ორჯერ შემსრულებელი, სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ოპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი პოზიციები ეკავა, ყოველთვის კონსტრუქციული მოთამაშე არ იყო. 2011 წელს მისმა პარტიამ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ ქუჩის საპროტესტო გამოსვლები დაიწყო თბილისში, რაც ძალადობითა და ოთხი ადამიანის დაღუპვით დასრულდა. პოპულისტობს რა, ბურჯანაძე „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს, რომ ეს უკანასკნელი არ ასრულებს თავის დაპირებას სამართლიანობის აღდგენის კუთხით. იგი 2010 წელს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა და რუსებთან მაღალი დონის მოლაპარაკებების ინიციატივით გამოდის.

**მეორე რიგის კანდიდატები არიან:** ლეიბორისტული პარტია, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატია **შალვა ნათელაშვილი**, ქარიზმატული ვეტერანი პოლიტიკოსი. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან ხმების 6.5% მოიპოვა, ხოლო მისმა პარტიამ 2012 წლის არჩევნებში – 1%-ზე ოდნავ მეტი. ნათელაშვილი ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის სხვაობას ვერ ხედავს. არჩევის შემთხვევაში ამომრჩეველს ჰპირდება, რომ გამოიყვანს ჯარს ავღანეთიდან, რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღებაზე მოილაპარაკებს, საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს და აკრძალავს მიწების მიყიდვას უცხოელებზე.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, რომელსაც საპრეზიდენტო კანდიდატი **გიორგი თარგამაძე** უდგას სათავეში, მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიაა. ემხრობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოლოდინი, რომ ქდმ-ს ტელეგენურ ლიდერს კარგი შედეგი ექნება, არ არსებობს. ყოფილ ტელეწამყვან თარგამაძეს ქვეყანაში კარგად იცნობენ, მაგრამ მისი წარსული კავშირი ასლან აბაშიძესა და ბადრი პატარკაციშვილთან, მის შეხედულებებთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს აჩენს. თარგამაძის პლატფორმა მოიცავს საკონსტიტუციო აკრძალვის შემოღებას გეი-ქორწინებებზე და სოციალური ხარჯების გაზრდა-ზე.

**კობა დავითაშვილი**, დიდი ხნის გამოცდილი პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი და ხალხის პარტიის ლიდერია. ის ნაციონალური მოძრაობის ჯერ წევრი, შემდეგ კი, შეურიგებელი ოპონენტი იყო. 2012 წელს, დავითაშვილი პარლამენტში „ქართული ოცნების“ პარტიული სიით შევიდა, მაგრამ მისი კოალიციაში ყოფნა დიდხანს არ გაგრძელდა. მან დატოვა კოალიცია „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან კოჰაბიტაციის მიუღებლობის გამო.

**ზურაბ ხარატიშვილი**, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელია. მან ეს თანამდებობა ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის დატოვა. კვალიფიციური ფინანსური აუდიტი და ტექნიკური ექსპერტი „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის შუალედური პოზიციის დაკავებას ცდილობს.

**ნესტან კირთაძე,** ყოფილი პარლამენტარი და „ლეიბორისტული პარტიის” ლიდერი, თბილისის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის ხელმძღვანელია. ის „ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატებს „ერთი პოლიტიკური ოჯახის“ წარმომადგენლებად მიიჩნევს.

## მთავრობის შტოთა როლების ცვლა

როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა, საქართველოს აღმასრულებელი ოფისი ფორმირდება კაბინეტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი დააკომპლექტებს და რომელსაც მხარს დაუჭერს საპარლამენტო უმრავლესობა. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების „წამყვანი ორგანო“ გახდება, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში. პრემიერს ექნება უფლებამოსილება, დანიშნოს რეგიონის გუბერნატორები (პრეზიდენტის თანხმობით), წარადგინოს ელჩები, ხელი მოაწეროს პრეზიდენტის დეკრეტებს (გამონაკლისია ომი), დანიშნოს არმიის მაღალჩინოსნები. პრეზიდენტი რჩება სახელმწიფოს მეთაურად, მთავარსარდლად და „ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლად“ საგარეო საქმეებში. პრეზიდენტი მართავს და ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, თუმცა პრაქტიკაში მას აღარ ექნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და მთავრობის თანხმობა დასჭირდება, მოლაპარაკებების წარმოებისა თუ საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერის დროს. პრეზიდენტს რჩება არჩევნების დანიშვნის, სპეციალური ჯილდოებისა და წოდებების, ასევე მოქალაქეობის მინიჭების, კანონების ხელმოწერისა და პატიმრების შეწყალების, ასევე რეფერენდუმებისა და პლებისციტების თარიღების დასახელების უფლება.

2010 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები გააკრიტიკეს მისი მიღების სისწრაფისა და იმის გამო, რომ საზოგადოებრივი კონსულტაციები არდადეგების დროს დაინიშნა; შესწორებებს აკრიტიკებდნენ ასევე მისი ვადების გამოც, რადგან ახალი კონსტიტუციის ამოქმედება განისაზღვრა დროით, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ბოლო საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა. ამან გააჩინა შიში, რომ ის ახალი, ძლიერი პრემიერის თანამდებობის დაკავებას გეგმავდა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიცაა ვენეციის კომისია, ცვლილებები ზოგადად დადებითად შეაფასა, განაცხადა რა, რომ ის მოიცავს „რამდენიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია“, თუმცა კომისიამ გამოთქვა წუხილი, რომ პრემიერის თანამდებობა ზედმეტად ძლიერი იყო. 2013 წლის 4 ოქტომბერს, პარლამენტმა ერთხმად მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც პრემიერის დიდ ძალაუფლებას შეზღუდავს ისე, როგორც ამას ვენეციის კომისია მოითხოვდა. 4 ოქტომბრის ცვლილებით, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, გაუქმდა მუხლი, რომელიც თავდაპირველად, პრემიერს ანიჭებდა უფლებას, უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადებინა კაბინეტისთვის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პროექტისთვის. თუკი კაბინეტის წევრების ერთი მესამედი თანამდებობას დატოვებს, მთელი მთავრობა (პრემიერის ჩათვლით) პარლამენტმა ხელახლა უნდა დაამტკიცოს. თუკი პარლამენტი ახალ მთავრობას არ დაამტკიცებს, პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ამ მნიშვნელოვანი შესწორების გარეშე, პრემიერს ექნებოდა მთელი კაბინეტის შეცვლის უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე.

## დასკვნა

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოში აკლია ის ინტენსივობა, რომელიც ახლდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ეს პოზიტიური ფაქტია. წელს სასწორზე ნაკლები რამ დევს, თუმცა ეს არჩევნები შანსია საქართველოსთვის, განამტკიცოს მისი დემოკრატიული არჩევნებისა და დემოკრატიული პრაქტიკის კულტურა. აშშ-ს ჩართულობა საქართველოს საქმეებში სერიოზულია მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა. მან და განსაკუთრებით ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა საკუთარი პოზიტიური წვლილი შეიტანა პროცესებში, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოულოდნელ შედეგს მოჰყვა და ხელი შეუწყო კოჰაბიტაციას. ის, რომ პრემიერისა და პრეზიდენტის როლები იცვლება, ხოლო პრემიერი ივანიშვილი გადადგომას აპირებს და საკუთარი მემკვიდრის ვინაობას დაასახელებს არჩევნებიდან შვიდ დღეში, შემდეგი თორმეტი თვის განმავლობაში სისტემის მდგრადობასთან დაკავშირებით სერიოზულ გაურკვევლობას აჩენს. ამ გაურკვევლობისა და არეულობის პერიოდში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ს ჩართულობა გაღრმავდეს.

სავარაუდოდ, მარგველაშვილს წელს გამარჯვების დიდი შანსი აქვს; თუმცა ამ არჩევნების გაცილებით მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, ვინ გავა მეორე ადგილზე. სწორედ ამით განისაზღვრება, რომელი ძალა გახდება მთავარი ოპოზიციური პარტია და შესაბამისად, ძლიერი პოზიციის მქონე შემდეგი პოლიტიკური ციკლისთვის. თუ მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობა გავა, ის დაადასტურებს თავის რელევანტურობასა და ძალას, როგორც ნამდვილი ოპოზიციური ძალა. თუკი სულ უფრო პრორუსული, პოპულისტური დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო დაიკავებს მეორე პოზიციას, სავარაუდოდ, ანტიდასავლური სენტიმენტები გაიზრდება. ახალი პრეზიდენტისა და მომავალი პრემიერის ვინაობასთან დაკავშირებით, გაურკვევლობა და კოალიციური მთავრობის შესაძლო დაშლის საფრთხე, მომავალში შესაძლო არასტაბილურობას მოასწავებს. როგორც კი ვითარება ჩაცხრება, თეთრ სახლში ახალი პრემიერის ვიზიტი განამტკიცებს და გააღრმავებს სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის და ხაზს უსვამს აშშ-ს ვალდებულებას სამხრეთ კავკასიის მიმართ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 6 | | 3 | | | | |
| | | 3 | 1 | | 7 | | | 4 |
| | | 7 | | | | | | 2 |
| | | | 5 | | | | | |
| 3 | 1 | | 4 | 8 | 9 | | 6 | 5 |
| | | | | | 1 | | | |
| 6 | | | | | | 5 | | |
| 4 | | | 2 | | 8 | 3 | | |
| | | | | 1 | | 9 | | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 2 | | | | |
| 3 | | | | | | | 4 | |
| 2 | 9 | | | | 4 | 7 | | |
| | | 7 | | 3 | 2 | 1 | | |
| | | | 7 | | 9 | | | |
| | | 5 | 4 | 6 | | 3 | | |
| | | 3 | 2 | | | | 8 | 6 |
| | 8 | | | | | | | 4 |
| | | | | 8 | | | 3 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | 1 | | | | |
| 6 | | | | | 9 | | 7 | |
| | | 9 | | | 4 | | | 5 |
| 3 | | 1 | | | 5 | | | 7 |
| | | | 1 | 4 | 7 | | | |
| 7 | | | 3 | | | 9 | | 6 |
| 5 | | | 4 | | | 2 | | |
| | 8 | | 2 | | | | | 3 |
| | | | | 5 | 8 | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| 6 | | | 1 | | | 8 | 3 | 9 |
| | 2 | 8 | | | 5 | | | |
| | 7 | 6 | | | 2 | 4 | | |
| 2 | 3 | | | | | | 8 | 7 |
| | | 4 | 7 | | | 3 | 2 | |
| | | | 3 | | | 6 | 7 | |
| 1 | 6 | 2 | | | 7 | | | 3 |
| | | | | | | | | |



## მეტროთი მგზავრობა მავნეა?

მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად სარგებლობს მეტროპოლიტენით, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ამ მიწისქვეშა ტრანსპორტით გადაადგილება ჯანმრთელობისთვის საშიშია. ამერიკელი და ბრიტანელი მედიკოსების დასკვნით, მეტროთი სისტემატური მგზავრობისას ადამიანები ჰაერში არსებული ტოქსიკური მეტალის მტვერს ისუნთქავენ, რაც მათ ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. პრობლემა კი ისაა, რომ მეტროსადგურის განიავება საკმაოდ პრობლემურია და ასე გროვდება მეტალის მტვერი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ღვიძლს, ფილტვებსა და თირკმელებს ანადგურებს.



## თბილი ამინდი თავს ატკივებს

ჰაერის ტემპერატურის მატება, ატმოსფერული წნევის დაქვეითების მსგავსად, შაკიკისა და თავის სხვა სახის ძლიერი ტკივილის განვითარებას განაპირობებს. ამერიკელმა მეცნიერებმა თავის ძლიერი ტკივილის განვითარების რისკზე კლიმატური პირობების გავლენა შეისწავლეს. კვლევაში 7000-მდე ადამიანი მონაწილეობდა, შედეგად კი გაირკვა, რომ თავის ტკივილის განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ჰაერის ტემპერატურის მატება ახდენს — ჰაერის 5 გრადუსით გათბობაც კი ძლიერი ტკივილის პროვოცირებას ახდენს და შეტევის რისკს 7,5%-ით ზრდის. იმედოვნებენ, რომ ახალი მონაცემები ექიმებსა და მეტეოდამოკიდებულ პაციენტებს თავის ტკივილის საწინააღმდეგო დროული პროფილაქტიკური ზომების მიღებაში დაეხმარება.

## კომენდანტის საათი შინაური ცხოველებისთვის

ამომავალი მზის ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შინაური ცხოველებისთვის კომენდანტის საათი შემოიღეს. ამიერიდან, ოთხფეხა მეგობრებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საღამოს რვა საათის შემდეგ გამოჩენა ეკრძალებათ, ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კი, ცხოველის პატრონს დიდი თანხით დააჯარიმებენ. გარდა ამისა, იაპონიაში არსებულ ზოომაღაზიებს ლეკვებისა და კნუტების გაყიდვა საღამოს საათებში აუკრძალეს, მიზეზი კი ისაა, რომ ცხოველებსაც აქვთ დასვენების უფლება.



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 5 | 7 | 9 | 6 | 3 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 4 | 8 | 3 | 7 | 6 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 9 | 3 | 8 | 1 | 5 |
| 1 | 7 | 5 | 9 | 8 | 2 | 6 | 3 | 4 |
| 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 8 | 9 | 2 | 6 | 3 | 4 | 7 | 5 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 4 | 2 |
| 1 | 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 5 | 2 | 6 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 8 | 9 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 6 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 2 | 7 | 1 | 3 | 8 | 9 | 4 | 6 | 5 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 9 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 6 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 1 | 7 | 5 | 9 | 4 | 2 | 6 | 3 |
| 6 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 7 | 6 | 9 | 3 | 8 | 2 |
| 3 | 2 | 6 | 8 | 4 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 7 | 8 | 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 |
| 2 | 3 | 5 | 9 | 1 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 1 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 8 |
| 9 | 6 | 8 | 4 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 2 | 8 | 6 | 5 | 4 | 1 | 7 | 9 | 3 |
| 7 | 5 | 3 | 2 | 9 | 6 | 4 | 8 | 1 |
| 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 6 | 5 | 2 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 9 |
| 8 | 4 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 7 |
| 6 | 3 | 7 | 9 | 1 | 8 | 5 | 2 | 4 |
| 5 | 9 | 2 | 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 3 | 5 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 8 | 1 | 3 | 7 | 9 | 4 | 6 | 2 |
| 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 |
| 1 | 5 | 8 | 9 | 4 | 2 | 7 | 3 | 6 |
| 4 | 2 | 3 | 7 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 3 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 |
| 8 | 1 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 2 | 5 | 1 | 9 | 6 | 8 | 3 | 4 |
| 3 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 9 | 1 | 6 | 2 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 3 | 7 | 5 | 6 |
| 1 | 8 | 7 | 2 | 5 | 6 | 4 | 3 | 9 |
| 5 | 6 | 3 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 3 | 4 | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | 9 | 1 |
| 9 | 2 | 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 7 | 5 |
| 7 | 5 | 1 | 3 | 9 | 8 | 6 | 2 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 2 | 3 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 6 | 5 | 8 | 2 | 9 | 7 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 4 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 |
| 3 | 8 | 4 | 5 | 1 | 9 | 7 | 2 | 6 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 3 | 5 | 9 | 6 | 4 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 7 | 1 |

მე-13 გვერდი: 1. ტენოჩტიტლანი; 2. ოზმა; 3. აზგარდი; 4. ამაო; 5. ფანტასტიკა; 6. ჩურჩხელა; 7. ინკვიზიცია; 8. ლეში; 9. ნატო; 10. იქა; 11. ვიალი; 12. რიკოშეტი; 13. დალი; 14. ოქტავა; 15. დიახ; 16. ნიასა; 17. გონიო; 18. რიო; 19. ზანგი; 20. ოდა; 21. ილი; 22. ილიონი; 23. ინდი; 24. ციანი; 25. ოე; 26. იურისპრუდენცია; 27. მექა; 28. არიფანა; 29. ერე; 30. ნესი; 31. სიმონი; 32. უდე; 33. ალაო; 34. მინი; 35. ქორი; 36. ტეტრისი; 37. ჯოისი; 38. იფიკლე; 39. სბირი; 40. მის; 41. ფინი; 42. აიალა; 43. ასა; 44. ბია; 45. მოირა; 46. ოსპი; 47. მისური; 48. კარე; 49. რკო; 50. ემინემი; 51. ერა; 52. ბაკმი; 53. ელეგია;+ 54. სარმა; 55. გულიტი; 56. მერინოსი; 57. ლუდი; 58. იაჰვე; 59. ადა; 60. ყია; 61. აშარი; 62. შილა; 63. „მუმუ“; 64. ვაპიტი; 65. ადელი; 66. ოლდ; 67. ადესა; 68. ტიან; 69. შულერი; 70. სე; 71. შპრეე; 72. ინტი; 73. არშინ; 74. ბერეტა; 75. ლუტეცია; 76. სერ; 77. ბმო; 78. ირონია; 79. უნა; 80. მერიმე; 81. ისტორია; 82. ორუელი; 83. ნეი.



1. ფრთოსანი მერანი ბერძნულ მითოლოგიაში
2. იგივეა, რაც იარლიყი
3. ნეიტრალური ქვეყნის ტრანსპორტის შეპყრობა მეომარი ქვეყნის მიერ
4. კულინარიაში ხმარებული ბალახოვანი მცენარე
5. მგალობელი ფრინველი
6. ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლოთაგანი
7. იმპოტენციის საწინააღმდეგო წამალი
8. ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებული
9. კუნძულ კალიმანტანის მეორე სახელწოდება
10. აშშ-ის შტატი
11. ქართველი მოქანდაკე ქალი
12. იგივეა, რაც კრაზანა
13. ტაილანდში მცხოვრები ხალხი
14. სოფელი ქედის რაიონში
15. „ეკლებიანი“ ცხოველი
16. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
17. ზრდადაუსრულებელი ქათამი
18. კუზიანი ხარი
19. „ნატვრის ხის“ ავტორი
20. ჰიროსიმას „კოლეგა“ ქალაქი
21. ელექტრული დენის ძალის ერთეული
22. ავთანდილის ეროვნება „ვეფხისტყაოსანში“
23. სპორტის სახეობა
24. ბუდისტთა საკულტო ნაგებობა
25. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო
26. ფეხბურთის კარის ჩარჩოს ხარიხა
27. რომის იმპერატორი
28. თელისებრთა ოჯახის ხე
29. ჩინელი კომუნისტების ბელადი
30. ინდური კობრა
31. ჩვილი ბავშვის საკვები
32. მუს. ბგერის ნახევარტონით ამაღლების ნიშანი
33. საქონლის „სუფთა“ წონა
34. მოლიერის ცნობილი პიესა
35. ფოსო მკლავის ტანთან შეერთების ადგილზე
36. ქალაქი აფხაზეთში
37. სის-ხლის აღე-ბის წესი კორსიკაზე
38. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
39. ქართული პოეზიის დედოფლის სახელი
40. ამაზონის დელფინი
41. დედამიწის ზედაპირის ბრტყელი გამოსახულება
42. გათუთქული ტყემლის მოდუღებ. წვენი
43. პოეტი ... ამაღლობელი
44. შოუ „... უნდა ოცი ათასი“
45. კამათის, პაექრობის ხელოვნება
46. გიორგი სააკაძის თავმოკვეთილი ვაჟი
47. ლერმონტოვის პოემა
48. მომდევნო დღე ანუ ...
49. წარწერა საფლავ. ქვაზე
50. ძველ რომაელთა სამოსი
51. ქრისტეს დატირების სცენა ფერწერაში
52. ნოტების დასადები დახრილი ფიცარი
53. ჩოგბურთელი ... სამპრასი
54. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
55. ურითმო ლექსი ძვ. ქართ. სასულიერო პოეზიაში
56. „მქსოველი“ ცხოველი
57. ფინური აბანო
58. მთვარის ორბიტის უახლოესი წერტილი დედამიწასთან
59. იაზონის ხომალდი
60. ჩეხეთის ეროვნული გმირი იან ...
61. იქსის „კოლეგა“
62. „პინკ ფლოიდის“ კლავიშისტი
63. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
64. ქალის ვარცხნილობის ტიპი
65. პირადი მოხმარებისათვის საჭირო წვრილ. ნივთები
66. დიდი იტალიელი არქიტექტორი
67. იგივეა. რაც ცვარი
68. საერთაშ. გამოფენა, ორ წელი-წადში ერთხელ
69. იტალიელი პოეტი ტორკვატო ...
70. მდინარე რუსეთში
71. გერმანული ფარმაცევტული კომპანია
72. ვირის გასარეკი შეძახილი
73. ქართული ხუროთმოძღ. ძეგლი ტაოში
74. ცნობილი ნიდერლანდელი ექსფეხბურთელი ... ოვერმარსი
75. მეფე აიეტის უფროსი სიძე
76. „ზღვის ვეფხვად“ წოდებული მტაც. თევზი
77. გაერთიანებული ისრაელის სამეფოს პირველი მეფე
78. ხერხემლის ძვალი
79. მოკრივე ... ტაისონი
80. ოლივერ კანის საფეხბურთო ამპლუა
81. ნიკოლოზ ნოსოვის ზღაპრების პერსონაჟი
82. კერვის წინმსწრები „პროცედურა“
83. სინათლე ბავშვის ენაზე
84. მუსიკ. გამის VI ნოტი



# ყველაზე საშინელი სასტუმრო

ავსტრალიაში, ტასმანიის შტატში არის მორგი, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს, თუმცა ამ უძრავი ქონების ახლანდელი მფლობელი, ანტიკვარიატით მოვაჭრე პირს ჰადინგი აცხადებს, რომ ამ შენობაში სასტუმროს გახსნას გეგმავს და კლიენტთა მოზიდვას მოჩვენებების ისტორიებით აპირებს. ჰადინგის თქმით, „მწვანე კონტინენტზე“ უამრავი ტურისტი ჩადის და დარწმუნებულია, რომ ბევრს მოეწონება ღამის გათევა ერთ დროს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მორგში. ექსმორგის ახალი მფლობელი შენობის რემონტზე დიდი თანხის დახარჯვას არ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ ოტელის სტუმრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ღამის თევა თუჯის აბაზანაში, სადაც ერთ დროს მიცვალებულებს აპატიოსნებდნენ. პირსს განზრახული აქვს, ამ გზით დაწესებულება „მსოფლიოში ყველაზე საშინელ სასტუმროდ“ აქციოს და იქ სტუმრები უკვე მომავალი წლიდან მიიღოს.



# ჰოროსკოპი
## 25 ოქტომბერი

**ვერძი** — ეცადეთ აკონტროლოთ ყოველი სიტყვა, რათა მერე ბოდიშის მოხდამ არ მოგიწიოთ. არც ფინანსური ფონია სახარბიელო, ურიგო არ იქნება, ცოტა ხნით არსებულ ვითარებას გაერიდოთ და მომავალი ქმედებებიც გააანალიზოთ.

**კურო** — არის საშიშროება, რომ თქვენსავე ტყუილებში გაეხვიოთ და გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. ეცადეთ, არ შეხვიდეთ პოლემიკაში უფროსობასთან და თქვენი პოზიციის გასამყარებლად ხელსაყრელ დროს დაელოდეთ.

**ტყუპები** — ტყუილად ფიქრობთ, რომ ახლობლების რჩევები არაფერში გჭირდებათ — გაითვალისწინეთ, რომ არსებულ პრობლემებს დახმარების გარეშე ვერ მოაგვარებთ.

**კირჩხიბი** — დღეს დაგეგმილი ყველა საქმიანი შეხვედრა წარმატებული აღმოჩნდება., მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ რადიკალური ცვლილებებისთვის ჯერ მზად არ ხართ და პირველივე წინადადებას ნუ დათანხმდებით.

**ლომი** — წარმატებული დღეა. არის ახალი ბიზნესის წამოწყების შანსი. სწორი გადაწყვეტილების მისაღებადაც შესაფერისი დროა, საღამოს თუ ცოტას დაისვენებთ და ყველა საქმეს გადადებთ, ამით არაფერი დაშავდება.

**ქალწული** — ახალი საქმე დიდ წარმატებას გპირდებათ — საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი და გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა.

**სასწორი** — კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან შექმნილ ვითარებაში ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა. საიმედო მოკავშირეებს იპოვით და მათი დახმარებით წარმატებასაც მიაღწევთ.

**ღრიანკალი** — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დასახულ საქმეს დაასრულებთ, სამომავლო პერსპექტივაც სახარბიელო იქნება. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული პერიოდია — გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ, მაგრამ ასე არ არის.

**მშვილდოსანი** — ვარსკვლავები მშვიდ დღეს გპირდებიან. შესაძლოა, საქმემ გადაგღალოთ, მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

**თხის რქა** — თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან და ნურც ზედმეტად პრეტენზიული იქნებით გარშემომყოფების მიმართ. შესაფერისი დროა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**მერწყული** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — წარმატება თავად გიპოვით, მხოლოდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

**თევზები** — ეცადეთ, ემოციები გვერდზე გადადოთ და საქმიან პარტნიორებთან მეტად პრაგმატული იყოთ, თუმცა ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.

# მანათობელი ვარდები შექმნეს



ეს თაიგული დღის სინათლეზე თეთრი ფერისაა, სიბნელეში კი ფოსფორისფრად ანათებს — ყვავილის ეს უჩვეულო ჯიში კომპანიამ Interflora გამოიყვანა და მისი ღირებულება 44 გირვანქა სტერლინგია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, თაიგული იმ ადამიანებისთვის შექმნეს, ვისაც ჰელოუინის დღესასწაულზე ტრადიციული, გოგრისგან შექმნილი დეკორაციები მობეზრდა.

# მალაზიაში დასაძინებლად დადიან



ავეჯის მალაზიების უზარმაზარ სალონებში სიარულისას, უამრავ ადამიანს უნებურად უჩნდება სურვილი, საწოლზე წამოწვეს და დაიძინოს. ამისთვის კი ჩინური ფირმა IKEA არსებობს. ყოველწლიურად კომპანიის საგამოფენო ცენტრს მილიონობით ადამიანი სტუმრობს, რომელთაგან მხოლოდ მეათედი ნაწილი თუ ყიდულობს რამეს, დანარჩენები იქ დასაძინებლად მიდიან. მომსახურე პერსონალი უკმაყოფილოა მსგავსი „კლიენტებით“, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს და სალონში ძილს არავის უშლის — ფირმაში დარწმუნებულნი არიან, რომ ოდესმე ეს ადამიანები აუცილებლად შეიძენენ სასურველ ავეჯს.

# აივანი გამოძახებით



თუ თქვენს ბინას აივანი არ აქვს, ფრანგი მხატვარი და დიზაინერი ჟულიენ ბარტე მარტივ გამოსავალს გთავაზობთ — „აივანს გამოძახებით“. ახალ სერვისს Balcon Additionel უწოდეს და მას ამწეს დახმარებით, კედელზე ამონტაჟებენ. რა თქმა უნდა, ასეთი კონსტრუქცია საიმედო და გამძლე არ არის — ის მხოლოდ რამდენიმე საათით შეგიძლიათ გამოიყენოთ, თუმცა საკმაოდ იაფია, რადგან ნაკლებად გამძლე მასალისგან მზადდება და ამიტომ მასზე მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება დადგეს.

# რა იწვევს კიბოს?



კიბოს შემსწავლელი საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, რომ ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის ძირითადი მიზეზი დაბინძურებული ჰაერია, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ფილტვებისა და შარდის ბუშტის კიბოს. სააგენტოს სწავლულებმა მონაცემთა გაანალიზება 2010 წლიდან დაიწყეს და 223 ათას შემთხვევაში, დაავადების მთავარი მიზეზი სწორედ დაბინძურებული ჰაერი აღმოჩნდა. კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სამი წლის განმავლობაში ატარებდნენ, რამაც საშუალება მისცათ, ფილტვების ონკოლოგიასა და დაბინძურებულ ჰაერს შორის პირდაპირი კავშირი აღმოეჩინათ. სპეციალისტების განცხადებით, ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ჩინეთსა და ინდოეთში, ევროპის ქვეყნებს შორის კი ბულგარეთსა და პოლონეთში, თუმცა დიდი რისკის ქვეშაა საფრანგეთიც. დაბინძურებული ჰაერი ყველაზე მეტად 50 წელს გადაცილებულ ადამიანებზე მოქმედებს, ხოლო სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოში ექვსი მილიონი ადამიანი ავადდება კიბოთი.



# ჰოროსკოპი
## 26 ოქტომბერი

**ვერძი** — მეტად გამჭრიახი ხართ და არ გსურთ, საქმეში სხვის გაკვალულ გზას მიყვეთ, თუმცა მოემზადეთ სერიოზული წინააღმდეგობისთვის, დღის მეორე ნახევარი კი მეგობრებთან გაატარეთ.

**კურო** — საქმე სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა, გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან. ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან.

**ტყუპები** — ემოციური ფონი არასტაბილურია, რაც დიდ დროსა და სულიერ ძალებს გართმევთ. შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგივიდეთ, ფინანსური ფონიც უსიამოვნოა.

**კირჩხიბი** — არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის წინ დაგეგმილი პროექტები და თქვენს სასიკეთოდ წარმართოთ ნებისმიერი საუბარი. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად — ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს.

**ლომი** — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს და უყურადღებობითა თუ წინდაუხედაობით პრობლემებს არ შეიქმნით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა და გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება.

**ქალწული** — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანებიც არ გიღალატებენ, შესაძლოა, მაცდური წინადადებაც მიიღოთ.

**სასწორი** — თქვენი დიპლომატიური უნარის წყალობით შეძლებთ, არსებული კონფლიქტები მოაგვაროთ და ურთიერთობა აღადგინოთ ადამიანთან, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია და ნებისმიერი საქმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ.

**ღრიანკალი** — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა, გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დააბანდოთ. შეგიძლიათ გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ.

**მშვილდოსანი** — ნაყოფიერად იშრომეთ და სხვისი დახმარების გარეშეც მიაღწევთ წარმატებას. სასიკეთოა ფინანსური ფონიც და შესაძლოა, ფულადი გზავნილიც მიიღოთ.

**თხის რქა** — თუ დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიიღებთ, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოდუნდეთ, თუ არ გინდათ, რომ თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს.

**მერწყული** — მეტი აკურატულობა გამოავლინეთ — არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობას შეგინარჩუნებთ გარშემომყოფებთან.

**თევზები** — დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ინტუიცია, მხოლოდ ასე მოაგვარებთ არსებულ პრობლემას. ეცადეთ, ყველაფერი გულთან ახლოს არ მიიტანოთ და ნაკლები ემოციურობა გამოავლინოთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 6 | 5 | | | 7 | | |
| | | | | | | | | |
| 5 | | 9 | | | 7 | | | 4 |
| 3 | | | | 7 | 5 | | | |
| 9 | 7 | | 6 | | 3 | | 2 | 1 |
| | | | 1 | 2 | | | | 3 |
| 7 | | | 8 | | | 2 | | 9 |
| | | | | | | | | |
| | | 1 | | | 9 | 6 | 8 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | 4 | | | |
| 8 | | 1 | 6 | 3 | | | 7 | |
| 4 | | 7 | | | 8 | | 2 | |
| | 2 | | | | | 1 | | 3 |
| | | | | | | | | |
| 9 | | 3 | | | | | 6 | |
| | 1 | | 3 | | | 8 | | 7 |
| | 8 | | | 2 | 7 | 3 | | 4 |
| | | | 8 | | | | 9 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 9 | | | | | |
| 6 | | 9 | | 8 | 7 | | 2 | |
| | | | | | 1 | | 9 | |
| 8 | | 1 | | 9 | | | | 3 |
| 3 | | | 5 | | 4 | | | 8 |
| 5 | | | | 3 | | 7 | | 9 |
| | 3 | | 6 | | | | | |
| | 1 | | 8 | 7 | | 9 | | 5 |
| | | | | | 9 | 1 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 9 | | | | | |
| | | 5 | | 3 | | | 6 | |
| | 4 | | 5 | 2 | | 3 | | |
| | | 4 | 2 | 1 | | 8 | | |
| | 9 | | | | | | 3 | |
| | | 8 | | 4 | 7 | 9 | | |
| | | 6 | | 9 | 4 | | 2 | |
| | 1 | | | 8 | | 6 | | |
| | | | | | 3 | | 1 | |



## ჰოროსკოპი

## 27 ოქტომბერი

***ვერძი*** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის, ვარსკვლავები სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებიან.

***კურო*** — ფინანსური საკითხების გადასაჭრელად შესაფერისი პერიოდია, სამაგიეროდ, გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მოგიწევთ პრინციპული იყოთ, რადგან მოსალოდნელ კონფლიქტს სხვაგვარად თავს ვერ აარიდებთ.

***ტყუპები*** — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. არაა გამორიცხული სერიოზული უთანხმოება ახლობლებთან, ამიტომ თავი შეიკავეთ მათი გაკრიტიკებისგან.

***კირჩხიბი*** — ყველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით, რაც წარმატებას მოგიტანთ. მართალია, მცირე ფინანსური დანაკარგი განწყობას გაგიფუჭებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს პრობლემა დროებითია.

***ლომი*** — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. დღის მეორე ნახევარი კი, სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ.

***ქალწული*** — გაფორმებული ხელშეკრულება შემოსავალს გაზრდის და კარიერულ წინსვლაშიც დაგეხმარებათ. კარგი დღეა ოჯახური საქმეების მოგვარებისთვის და ახალი რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად.

***სასწორი*** — დღეს დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. თქვენს ცხოვრებაში „სტატიკური პერიოდი“ დადგა. თქვენს ნიჭს წვრილმანებს ნუ შეალევთ, თავის წარმოჩენისთვის ბევრად ხელსაყრელი პირობები შეგექმნებათ.

***ღრიანკალი*** — შესაშურ გამბედაობას ავლენთ და ამის წყალობით მოაგვარებთ ისეთ საკითხებს, რაც თქვენს კოლეგებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

***მშვილდოსანი*** — დღე პროფესიულ გამარჯვებას გპირდებათ, ლიდერის თვისებები ბიზნესპროექტებზე მუშაობისას დაგეხმარებათ. სასურველია, საქმიან წვეულებას დაესწროთ და მომავალ პარტნიორებთან ურთიერთობა გაამყაროთ.

***თხის რქა*** — პრობლემების გადასაჭრელად დახმარებისთვის შეგიძლიათ უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, შეგიძლიათ სამსახურიც შეიცვალოთ, მაგრამ ამისთვის ახალ სფეროს ნუ აირჩევთ.

***მერწყული*** — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

***თევზები*** — უამრავი სიახლე გელით, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ. შესაძლოა, თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენოთ და საქმიანი ურთიერთობაც აღადგინოთ ძველ ბიზნესპარტნიორთან.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# ბედნიერ ქორწინებას სასმელი სჭირდება?




აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ მეუღლეები, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც ერთად მიირთმევენ ალკოჰოლურ სასმელს, გაცილებით ბედნიერები არიან, ვიდრე სრულიად „ფხიზელი“ წყვილები. გამოკვლევის შედეგად, სადაც 1500 ოჯახური წყვილი მონაწილეობდა, აღმოჩნდა, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც თუნდაც კვირაში ერთხელ მეუღლესთან ერთად სვამდნენ, უფრო ბედნიერები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ ეკარებოდა სასმელს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „მსმელი“ წყვილების 91% აბსოლუტურად ბედნიერია ქორწინებაში, უბედურები კი ის წყვილები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ალკოჰოლურ სასმელს მხოლოდ ერთი ეტანება.

# ჩინეთში გადაღლილობა პიკს აღწევს



დაძაბულობა და გადაღლით გამოწვეული დაავადებები ადამიანების გარდაცვალების მიზეზი სულ უფრო ხშირად ხდება. დატვირთული სამუშაო გრაფიკით გამოწვეული სტრესი, შესაძლოა, ინფარქტითაც დამთავრდეს. გადაღლილთა რაოდენობა ჩინეთში, ნაციონალური რადიოს ცნობით, ყოველწლიურად ნახევარ მილიონს აღემატება და ეს სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველწლიურად ამ მიზეზით 600 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება. უმრავლესობა ექიმთან არ მიდის, მაგრამ თუ პრობლემას თავად ვერ უმკლავდებიან, აუცილებლად პროფესიონალებს უნდა მიმართონ, — აცხადებენ მედიკოსები. სპეციალისტები აქტიურად მომუშავე მოქალაქეებს ურჩევენ, დაძაბულობა მარტივი ფიზიკური ვარჯიშითა და კომპიუტერთან მუშაობისას რეგულარული შესვენებით მოიხსნან.

# „მრავალჯერ დაბერებული“ 18 წლის დათა გულუას რეკვიემი



## ახალგაზრდა პოეტის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა

რუსუდან შელია
557-100-768

„უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა უკვდავებისკენ მიმავალი ყოველთვის სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“, — კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები ახალგაზრდა პოეტმა დათა გულუამ თავის ერთ-ერთ ლექსს ეპიგრაფად წაუმძღვარა და იქვე დასძინა: „...საფლავს თვითონ ჟამიც აორთქლებს, მთავარია პოეზიის ბრუნვა“.

2003 წლის ოქტომბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, მეორე სართულზე, აუდიტორიაში, პირველად და უკანასკნელად, მსმენელის წინაშე აღელვებული წარსდგა. თურმე მაშინ ახლობლებს ეუბნებოდა — საკუთარი ლექსების წაკითხვა იგივეა, ხალხის წინაშე სამოსი განიძარცვოო... დღეს იგივე აუდიტორია დათა გულუას სახელს ატარებს და აქ დღესაც ხშირად იხსენებენ ახალგაზრდა პოეტის ლექსებს მისი მშობლები, ახლობლები, მეგობრები და უბრალოდ, მისი პოეზიის თაყვანისმცემლები, თუმცა... ავტორის გარეშე. ათი წლის წინ, 18 წლის წლის დათა გულუა ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

პარადოქსია — 22 ოქტომბერს, პოეტის გარდაცვალების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე დათა გულუა დამსწრე საზოგადოებამ ბევრჯერ მოიხსენია „მრავალჯერ დაბერებულ და დაბრძენებულ ახალგაზრდა პოეტად“, თუმცა ათი წლის წინ არავინ იცოდა, რომ იგი ლექსებს წერდა. დათა გულუას 200-მდე გამოუქვეყნებელი ლექსი დარჩა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ორ კრებულად გამოიცა.

დათა გულუასადმი მიძღვნილი საღამო ემოციებით დატვირთული იყო — აუდიტორიაში მისი ხმის ჩანაწერმაც გაიჟღერა, მეგობრებმა კი პოეტის ცხოვრების დეტალები გაიხსენეს: **„ყოველთვის გამოირჩეოდა და ყველაფერში! ჭკვიანი, თავმდაბალი, მრავალმხრივ ნიჭიერი, თბილი, კეთილი, საოცრად ნაკითხი და ერუდირებული, სულით ინტელიგენტი იყო. განსხვავებულად აზროვნებდა და მსჯელობდა, რასაც ყველა გრძნობდა. გამაოგნებელი იყო მისი ანალიზისა და შეფასების უნარი, მის იუმორსაც კი ერუდიცია ეტყობოდა. ყოველთვის ჰქონდა არგუმენტი, როცა საუბრობდა, ხუმრობდა ან კამათობდა. გარინდებულ სიჩუმეში მისი მომნუსხველი ხმა და ჩამოყალიბებული აზრი ისმოდა, რომელიც მსმენელს ბოლომდე ინტერესით ტოვებდა თავისთან. როცა ვკითხავდით: როგორ ხარ, დათა? ღიმილით გვპასუხობდა: თქვენ იყავით კარგად, ახალგაზრდებიო. თითქოს მხიარული იყო, მაგრამ ფიქრებით დამძიმებული, რაღაც იდუმალი დაჰყვებოდა და ამას მისი ღრმა და შინაარსიანი გამომეტყველება ადასტურებდა. „მე ვიცინოდი? ასე ცრუობდნენ ჩემი ნაკვთები“, — ვკითხულობდი შემდგომში მის ნაწერ სტროფებს. მაშინ მხოლოდ 18 წლისები ვიყავით,მისი ლექსების კითხვისას ახლაღა ვხვდები, რომ 18 წლის ბიჭის სხეულში მრავალჯერ დაბერებული და დაბრძენებული ადამიანი ცხოვრობდა....**

დათა გულუას კიდევ ერთი მეგობარი იხსენებს, რომ პოეტი თანატოლებისგან განსხვავებით, ყველაფერს განსაკუთრებულად აღიქვამდა: **„19-ის რომ გავხდი, აღარაფერი მიხაროდა. სრულიად დამახინჯდა ჩვენი სტუდენტური ცხოვრება, სულებდალეწილები დავრჩით. მახსოვს, იმ დაბადების დღეზე დათას საფლავთან მარტო დიდხანს ვიჯექი. სულის ტკივილი მახრჩობდა იმის გააზრებით, რომ წესით, ისიც 19-ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ„ქვიშის საათს ამოუშრა მუცელი ლუწი და ჟამი – ხვლიკი გადაიქცა მარადისობად“, როგორც დათა წერდა. ძალიან ცოტამ იცოდა, რომ ჩვენს გვერდით დიდი პოეტი იყო. ყველაფერს გრძნობდა, იცოდა, რომ „ჟამი ულმობელი თლიდა შავ ფანქარს“ და თანატოლებისგან განსხვავებით, ყველაფერს განსაკუთრებულად აღიქვამდა – ეს მისი ლექსებიდან კარგად ჩანს“.**

დათას პოეზიის შესახებ გვიან შეიტყო მისმა მეგობარმა რატი ამაღლობელმაც: **„ძნელია დათაზე ემოციების გარეშე საუბარი... ათი წელი გავიდა, მაგრამ რაც დრო გადის, დათა მით უფრო გვაფიქრებს თითოეულ ლექსსა და ფრაზაზე. მისი მცირეხნიანი ცხოვრება და პოეზია ერთმანეთს ავსებს. კარგად ვიცნობდი დათას, ფეხბურთიც ერთად ბევრჯერ გვითამაშია, მაგრამ არასოდეს უთქვამს, რომ ლექსებს წერდა“.**

დათა გულუას სახელობის აუდიტორიაში გამართულ საღამოს უფროსი თაობის პოეტებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, ტარიელ ხერხეულიძე... ლაური, ირაკლი საღლიანი, გუჯა ბურდული....

დათა გულუას ლექსების გაცნობისას მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ ახალგაზრდა პოეტი სიკვდილს წინასწარ გრძნობდა. მან საკუთარი სხეულის გასვენება ერთ-ერთ ლექსში აღწერა კიდეც:

**„.... ჩამოატარეს ჩემ სარკმელებთან,
თეთრ სუდარაში მძინარე გვამი,
რომ მიასვენეს მზის სარქველებთან,
მე მხოლოდ მაშინ ვიცანი თავი“.**

დაღუპვამდე ერთი თვით ადრე კი „რექვიემი“ შექმნა, სადაც ვკითხულობთ:

**„ოცი ავაზა აფრენილი მოჰყვება კუბოს,
დღე ფარშევანგის ბუმბულივით ამიპრიალდა,
მაშ, ბოლო ვალსი, ბოლო ალტის სიმები უხმო?
თუ, მეუფეო, ევერესტზე დამაგვიანდა?!“**

საღამოზე წაკითხულ ლექსებსა და დათა გულუაზე მეგობრების მოგონებებს თვალცრემლიანი უსმენდა პოეტის მამა ბაკურ გულუა, რომელმაც შვილის გარდაცვალება ბედის მიერ ნაბოძებ ტვირთად შეაფასა: **„ბედმა ამ ტვირთის ტარება მარგუნა... როცა ეს უბედურება თავს დამატყდა, სასოწარკვეთილმა პატრიარქს მივმართე — როგორ მოვიქცე-მეთქი? ვერაფერს იზამ, ვერაფერს გაარკვევ და ჩასწვდებიო, მიპასუხა. მართლაც, რთულია ღვთის განგების შეცნობა. დღეს პატრიარქთან ვმუშაობ — ჩემი ოჯახი გადარჩა, თუმცა თავის დროზე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დათას გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე საუბარს შევძლებდი. სარწმუნოებამ და ქრისტიანობამ ბოროტი გადასძლია. დათა ამქვეყნიდან წავიდა, ჩვენ კი სადარდებელი და საფიქრალი უხვად დაგვიტოვა. ის, ჩვენგან განსხვავებით, ცხოვრების შუქ-ჩრდილებს ხედავდა და ყველაფერს მწვავედ განიცდიდა. მის პოეზიაზე 90-იანი წლების უთავბოლო პროცესებმა დიდი კვალი დატოვა... პირველ კლასში იყო, როცა მისი სკოლა — თბილისის პირველი გიმნაზია დაიწვა. როცა დედამისმა რუსთაველის გამზირზე გაატარა, სკოლის წინ ზურგით დადგა და დამწვარ შენობას არ შეხედა. ის ტრავმირებული თაობის შვილი იყო, რადგან სწორედ 90-იან წლებში ყალიბდებოდა მისი სული, რაც შემდგომ პოეზიაში გადაიტანა. ლიტერატურათმცოდნეების ნაწილი ამბობს, რომ დათამ ახალ პოეზიას ჩაუყარა საფუძველი, თუმცა ვნახოთ, როგორ შეაფასებს მას ისტორია“.**

ისტორია დათა გულუას პოეზიას რომ დააფასებს, პოეზიის საღამოს დასასრულსაც იგრძნობოდა, როცა აუდიტორიას თვალცრემლიანი, მაგრამ იმედით სავსე ადამიანები ტოვებდნენ სიტყვებით — 18 წლის დათა გულუამ ჩვენი სულების გარდატეხა შეძლოო:

**„მოდით, დამხედეთ,
გარდაცვლილმა როგორ ვიბრძოლე,
ნუ შეგაშინებთ თალხისფერი ჩემი სხეულის.
მე არ მოვმკვდარვარ,
არ მოვმკვდარვარ, მხოლოდ ვიცოცხლე,
ამაოებით არ მივსია სულის რვეული“.**







ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდეგა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.